30 ნოემბერი – 6 დეკემბერი 2017
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

ახალი განათლება

№36 (790) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

მოუსმინეთ, დღეს „ბავშვები მართავენ“

საერთოდ, კულტურათა შორის, ერთ-ერთ უმთავრესად ყოველთვის მოსმენა და ერთმანეთის თანაგრძნობა მიმაჩნია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანების მოსმენა, ვისგანაც, რაც უფრო ვიზრდებით, მით უფრო მეტის სწავლა შეგვიძლია. ვფიქრობ, ეს ყველა თაობისთვის მომავალი თაობაა და ბავშვების ხედვის გაზიარებით, ჩვენ გაცილებით უფრო ეფექტურები ვიქნებით.

ნიკოლოზ რაჭველი

გვერდი 4

„წიგნის თარო“ გთავაზობთ „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ მიერ მომზადებულ კრებულებს

გავიმეოროთ მათემატიკა

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. იგი ძირითად სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალაზეა აგებული, თუმცა შევსებულია ამოცანებით. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალბათობისა და სტატისტიკის საკითხები.

ფასი – 19 ლარი (ერთი ცალი)

ეროვნული გამოცდების სიმულაცია ისტორიაში

გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

ეროვნული გამოცდების სრული სტანდარტის დაცვით შედგენილი ტესტები აბიტურიენტს საშუალებას აძლევს, გამოცდაზე გასვლამდე, გაიაროს ეროვნული გამოცდების სიმულაცია, ანუ შეძლოს ზუსტად იმ ტიპისა და სირთულის დავალებების შესრულება, როგორიც ეროვნულ გამოცდებზეა. სახელმძღვანელოში განთავსებულია ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი უნიკალური რუკები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია არა მარტო ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად, არამედ საგაკვეთილო პროცესისას კონკრეტული ისტორიული ეპოქის გასააზრებლადაც.

ფასი – 15 ლარი

სტუდენტური კონფერენცია

მეცნიერების რაინდი

პავლე ინგოროყვას პორტრეტისათვის

ვასილ ბარნოვი „რუსთველიანას“ წინააღმდეგ

გვერდი 5

სამოდელო გაკვეთილი

სამოდელო გაკვეთილების ეფექტური დაგეგმვა და შეფასება

გვერდი 6

მშობელთა კრება

აგრესიული ქცევის მართვა ბავშვებში

გვერდი 10

ეროვნული ბიბლიოთეკის საუკუნის პროექტი

„წიგნის მუზეუმი“ ჩვენი წარსულის გასახსენებლად შევქმენით იმისთვის, რომ ეს წარსული კარგი მაგალითი იყოს მომავალი თაობებისთვის. ეს არ არის მუზეუმი მუზეუმისთვის, „წიგნის მუზეუმი“ „განწირულია“ სიცოცხლისთვის და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მისი სიცოცხლის მამოძრავებელი ძალა იქნებით თქვენ – მომავალი თაობა.

გიორგი კეკელიძე



გვერდი 8

ახალი უმაღლესი სასწავლებელი

აცხადებს კონკურსს

ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

• სასწავლებლის პროფესორის თანამდებობაზე, უვადოდ, შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს, არანაკლებ, 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

• სასწავლებლის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, 4 (ოთხი) წლის ვადით, შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს, არანაკლებ, 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 30 ნოემბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 3 იანვრიდან 2018 წლის 10 იანვრის ჩათვლით. საკონკურსო მასალების განხილვა კომისიის მიერ და კონკურსის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება მოხდეს, არაუგვიანეს, 2018 წლის 18 იანვრისა; აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან, არაუგვიანეს, სამი კვირისა.

კონკურსი გამოცხადდეს ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:

ბიზნესის ადმინისტრირება:

• პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
• ასოცირებული პროფესორი – 3 საშტატო ერთეული.

სამართლის მიმართულება:

• პროფესორი – 1 საშტატო ერთეული.

ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულება:

• პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
• ასოცირებული პროფესორი – 3 საშტატო ერთეული.

ინჟინერიის მიმართულება:

• პროფესორი – 2 საშტატო ერთეული.

აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);
ბ) კონკურსანტის ანკეტა (დადგენილი ფორმის მიხედვით);
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი (შესაბამის სფეროში) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი – ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);
ვ) გამოქვეყნებული შრომების სია ბოლო 10 წლის განმავლობაში;
ზ) ავტობიოგრაფია CV;
თ) 1 ფოტოსურათი 3X4-ზე;
ი) შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსი/სილაბუსები.

საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2018 წლის 3 იანვრიდან 2018 წლის 10 იანვრის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, ახალი უმაღლესი სასწავლებლის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ჭყონდიდელის №26 (პირველი სართული, კანცელარიის ოთახი)

ახალი ამბები

შრომითი უნარების განვითარების გაკვეთილებში 3306 მოსწავლე ჩაერთვება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობით, სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების პროგრამას ახორციელებს, რომლის საფუძველზეც, მოსწავლეებს საშუალება აქვთ მოსინჯონ სხვადასხვა პროფესია, დაეუფლონ და განავითარონ საჭირო საბაზო უნარები. პროგრამა საშუალებას აძლევს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გაერთიანდნენ და, თანამშრომლობის გზით, ჩვენი მოსწავლეების სასკოლო ცხოვრება უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახადონ.

შრომითი უნარების კურსს, ტანსაცმლის მოდელირებასა და სურსათის უვნებლობის საკითხებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, თბილისის №51 საჯარო სკოლაში დაესწრო და მოსწავლეებს გაესაუბრა.

პროექტი სკოლის მოსწავლეებში პროფესიული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის ზრდასა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ემსახურება. პროგრამაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, ამ ეტაპზე ჩართულნი არიან საჯარო სკოლების VII, VIII და IX კლასების მოსწავლეები.

მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების კურსების განხორციელებისათვის, კონკურსის საფუძველზე, შერჩეული 200 პროექტი 138 საჯარო სკოლაში განხორციელდება. შესაბამისად, შრომითი უნარების განვითარების გაკვეთილებში/კურსებში 3306 მოსწავლე ჩაერთვება.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„სკოლაში, ცოდნის მიღების პარალელურად, აუცილებელია, მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა განივითარონ სხვადასხვა უნარები, რაც, საბოლოო ჯამში, მათ რეალურად მოამზადებს მომავალი ცხოვრებისთვის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი ინიციატივის ფარგლებში, სწორედ ამის შესაძლებლობა ეძლევათ შერჩეული სკოლების მოსწავლეებს. პროცესში 3000-ზე მეტი ბავშვი ჩაერთვება, ჩვენ მათ, სხვადასხვა პროფესიების მოსინჯვის გზით, მივცემთ შესაძლებლობას, განივითარონ შრომითი უნარები, უკეთ გაეცნონ მათთვის საინტერესო პროფესიებს და სხვადასხვა შესაძლებლობებთან დაკავშირებით რეალურად მიიღონ ინფორმაცია.“*

თიკა ჩხაიძე, 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ბავშვობიდან ვოცნებობდი, შემექმნა ტანსაცმელი საკუთარი დიზაინით. ამ პროექტმა შესაძლებლობა მომცა, განმეხორციელებინა ჩემი ჩანაფიქრი.“*

სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში, პროფესიულმა კოლეჯმა „იკაროსმა“, სსიპ ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლაში, მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების – „ნორჩი მზარეული“, „შაქრის ყვავილები“ და „სერვირები“ – განხორციელება დაიწყო. მოსწავლეები განსაკუთრებული ინტერესით მონაწილეობენ ყველა აქტივობაში, მათთვის შრომითი უნარების გაკვეთილებზე დასწრება საინტერესო და სახალისოა.

138 საჯარო სკოლიდან ერთ-ერთია თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლა, სადაც მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი და მინისტრის მოადგილე ლია გიგაური ეწვივნენ პირველ ექსპერიმენტულ სკოლას და შრომითი უნარების კურსს დაესწრნენ, სა-კონდიტრო და სარესტორნო საქმის მიმართულებით.

პროფესიული განათლება

პროფესიულ კოლეჯებში სწავლა დაიწყო

პროფესიულ კოლეჯებში 2017 წლის საშემოდგომო მიღებაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის სწავლა დაიწყო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა პროფესიული კოლეჯის „აისი“ სტუდენტებს სწავლის დაწყება პირადად მიულოცა და, მათთან ერთად, წარმატებები უსურვა 8 000-მდე პირველკურსელს.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვა ტესტირების საფუძველზე მოხდა. სახელმწიფო დაფინანსებით, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა მიეცათ იმ სტუდენტებს, რომლებმაც ტესტირებისას მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახეს და კონკურსის საფუძველზე ჩაირიცხნენ.

საშემოდგომო მიღების სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, აპლიკანტების მხრიდან ყველაზე მოთხოვნადი პროფესიებია: მზარეული, ბუღალტერი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, სტილისტი, სასტუმრო საქმის სპეციალისტი, კონდიტერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი, კომპიუტერული ქსელების ადმინისტრატორი, შემდუღებელი და ა.შ.

კოლეჯში „აისი“ აგრონომიის, ვეტერინარიის, მეცხოველეობის, სასურსათო ტექნოლოგიების, ინჟინერიის, ბიზნეს ადმინისტრირების, ენერგეტიკის, ელექტროინჟინერიის, მშენებლობის, ტრანსპორტის, აგროინჟინერიისა და სახელოვნებო მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების, ანუ დუალური მიდგომით, კოლეჯი „აისი“, პარტნიორ კომპანიებთან ერთად, მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობისა და მეცხოველეობის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს. კოლეჯი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში მდებარეობს. საგანმანათლებლო კომპლექსი მოიცავს უნივერსალური დიზაინის შესაბამისად რეაბილიტირებულ სასწავლო კორპუსს, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს, ღვინის სახლსა და მინი-საკონსერვო საწარმოს.

ირინა წეროძე, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი: *„კოლეჯში „აისი“ დაინერგა ბევრი ახალი პროფესია და საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის ახალი მოდულური პროგრამები, ასევე დუალური პროგრამები, რომლებიც დამსაქმებლებთან ერთად, ასევე, ავსტრიისა და გერმანიის მთავრობებთან ერთად ხორციელდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი პროგრამა, რომელიც წელს დაინერგა – საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა სატყეო მიმართულებით. ძალიან კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს კაჭრეთის კოლეჯ „აისს“. მნიშვნელოვანია, რომ წელს პირველად მიიღო სტუდენტები ლაგოდეხის ფილიალმა და როგორც იცით, ასევე, სწავლა მიმდინარეობს დედოფლისწყაროსა და ახმეტის ფილიალებში.“*

გერჰარდ შამბერგერი, ავსტრიის საელჩოს წარმომადგენელი: *„მიხარია, რომ ავსტრიის მთავრობის სახელით დავესწარი ღონისძიებას, რომელსაც ძალიან დიდი ხანი ველოდით. ეს არის ახალი პროგრამის განვითარების მხარდაჭერა სატყეო მიმართულებით. მოგეხსენებათ, ავსტრიაში უდიდესი ყურადღება ექცევა ამ სექტორს და ვფიქრობთ, რომ მდგრადი განვითარებისთვის აღნიშნულ პროგრამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.“*

დანიელ ჰაასი, გერმანიის საელჩოს წარმომადგენელი: *„მოხარული ვარ, რომ დღეს ვესწრები ღონისძიებას, რომლის მიზანიც სატყეო მიმართულების პროფესიული პროგრამის პოპულარიზაციაა. კაჭრეთის კოლეჯში „აისი“, ამ მიმართულებაზე, 30 სტუდენტი ჩაირიცხა, ამ პროგრამაზე სწავლა დაიწყო, ასევე, ლაგოდეხსა და ახალციხეში.“*

კვირეულის ფარგლებში მიმდინარე აქტივობები

პროფესიული განათლების ევროპის კვირეულის ფარგლებში, ფერმერთათვის და სოფლის მეურნეობის სფეროში ჩართული პირებისათვის, ამ სფეროში ახალი საკვალიფიკაციო პროგრამების პრეზენტაცია გაიმართა. ახალი პროფესიები სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ეხმიანება ევროპის კვირეულს და მიზნად ისახავს, შვეიცარიის განვითარების სააგენტოსა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასა და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით, სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებულ აქტივობათა შედეგების წარდგენას დაინტერესებული მხარეებისთვის.

შეხვედერა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქეთევან ნატრიაშვილმა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელის მოადგილემ საქართველოში, შომბი შარპმა გახსნეს. ღონისძიებაზე გაიმართა დისკუსია ოპტიმიზებული კვალიფიკაციების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების, განახლებული სასწავლო რესურსებისა და სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტების ირგვლივ.

პროფესიული განათლების რეფორმა განათლების რეფორმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აქცენტის გაკეთება სოფლის მეურნეობის დარგზე, რადგან იგი საქართველოს ეკონომიკის განვითარების აუცილებელი ნაწილია. ამ მიმართულებით ქვეყანას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, არსებობს მოთხოვნა სპეციალისტებზე, ამავდროულად, კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების აუცილებელი ნაწილია, შესაბამისად, პროფესიული განათლების მიმართულებით, აქტიურად ვართ ჩართულები და ვთანამშრომლობთ ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ შორის: გაეროს განვითარების პროგრამასთან, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ფერმერთა ასოციაციასთან და სხვა პარტნიორებთან სწორედ იმ მიზნით, რომ უზრუნველვყოთ განათლების მაღალი ხარისხი ამ მიმართულებით. თანამშრომლობის შედეგად გადამუშავდა არსებული კვალიფიკაციები, გამოიკვეთა ახალი უნარები და კვალიფიკაციები, რომლებიც ამ სექტორს ესაჭიროება და, მათზე მორგებით, შედგენილია და უკვე დამუშავებული სატრენინგო მოდულები ძალიან მნიშვნელოვან თემატიკაზე, როგორიცაა: ბიომეურნეობა, მეთხილეობა თუ სხვ. რაც მთავარია, სამუშაოზე დაფუძნებული, ანუ დუალური მიდგომის დანერგვის პროცესში გათვალისწინებულია არა მხოლოდ ახალგაზრდობის და სტუდენტობის ინტერესები, არამედ – ზრდასრული მოსახლეობისაც. პარალელურ რეჟიმში, ვზრუნავთ იმაზეც, რომ მომზადდეს ახალი კადრები პროფესიულის მასწავლებლის რანგში. შესაბამისად, შემუშავებულია მაინორ პროგრამები, რომლებიც უნივერსიტეტებში დაინერგება. ამგვარად მოვახერხებთ, უზრუნველვყოთ, ამ მიმართულებებით, პროფესიული განათლების მაღალი ხარისხი.“*

შომბი შარპი: *„ძალიან მოხარულები ვართ, რომ უკვე მრავალი წელია გვაქვს შესაძლებლობა, მხარი დავუჭიროთ პროფესიული განათლების განვითარებას საქართველოში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სექტორში. ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის მოგვარება ხელს შუწყობს ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრას. ჩვენი მიზანია, დავუახლოვოთ საქართველოს პროფესიული განათლება ევროპულ სტანდარტებს და ასევე, ხელი შევუწყოთ პროფესიული განათლების კურსებისა და დამსაქმებლების ერთმანეთთან დაკავშირებას.“*

დისკუსიის მონაწილეებმა სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლების პერსპექტივაზე, სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებასა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე იმსჯელეს. პროფესიული განათლების კვირეული ამ სფეროში საინტერესო და ინოვაციურ ინიციატივებს აერთიანებს, მისი მიზანია ხარისხიანი პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა, რაც უმუშევრობის შემცირების, სოფლად დასაქმებისა და განათლების მეტი შესაძლებლობის წინაპირობა იქნება.

კვირეულის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია „უნარები ტურიზმისათვის და ტურიზმი უნარებისთვის“, რომელიც ტურიზმის სფეროში სამუშაოზე დაფუძნებული-დუალური მიდგომით სწავლების საკითხებს ეხებოდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, GIZ-თან და სხვა პარტნიორებთან ერთად, აქტიურად მუშაობს სამუშაოზე დაფუძნებული-დუალური მიდგომით სწავლების მასშტაბების ზრდაზე. აღნიშნული მიდგომა ეფექტურია, რადგან სტუდენტი სწავლის პროცესშივე ეცნობა რეალურ სამუშაო გარემოს მოთხოვნებს, კომპანიებს კი შესაძლებლობა ეძლევათა, ხანგრძლივ პერიოდში, დააკვირდნენ სტუდენტებს, შესძინონ მათ საჭირო უნარები და საუკეთესოები დაასაქმონ კომპანიაში. დუალური განათლება ცალსახად ეფუძნება ორმხრივი მოგების პრინციპს – მოგებულია როგორც დამსაქმებელი, ასევე სტუდენტი.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„ამ კვირეულის ფარგლებში ვგეგმავთ, ვესაუბროთ კერძო სექტორისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს, განათლების ექსპერტებს, სოციალურ პარტნიორებს, საზოგადოებას პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებსა და გამოწვევებზე. ნიშანდობლივია, რომ პროფესიული უნარების კვირეულის პირველი კონფერენცია ტურიზმის სფეროში სამუშაოზე დაფუძნებული, ანუ დუალური სწავლების მიდგომით განხორციელებულ პროგრამებს ეძღვნება, რადგან წელს პირველად ვიწყებთ ამ მიმართულებით დუალური პროგრამების დანერგვას ჩვენს პარტნიორ სასტუმროებთან ერთად. კონფერენციაზე მათთან ერთად ვისაუბრეთ დაგეგმილ აქტივობებზე, დუალური განათლების საჭიროებებზე, დაგეგმილ თანამშრომლობაზე და იმაზე, თუ როგორ განვავითაროთ ეს მიდგომები და სისტემურად დავნერგოთ ჩვენი პროფესიული განათლების სივრცეში.“*

ნინო მესაბლიშვილი, „ჰილტონ ბათუმის“ წარმომადგენელი: *„ჩვენ უკვე 16 სტუდენტი მივიღეთ სამი მიმართულებით: სასტუმროს საქმე, სარესტორნო საქმე და კულინარია. დეკემბრის დასაწყისში სწავლა დაიწყება, რაც იმას გულისხმობს, რომ 3 წლის განმავლობაში „ჰილტონ ბათუმი“ აქტიურად იქნება ჩართული ამ სტუდენტების სწავლა-განათლების პროცესში და სამუშაო ადგილზე შეასწავლის მათ ხელობას.*

ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კომპანიებისთვის. მათი ჩართულობის გარეშე ძალიან ძნელია იმ კადრების გამოზრდა, რომლებიც რეალურად სჭირდება ბაზარს. ამიტომ, მათი ჩართულობის და სამუშაო ადგილზე სწავლების გარეშე, ვერასოდეს მივიღებთ იმ შედეგს, რასაც კომპანიები ველოდებით. ყველა კომპანიას მოვუწოდებ, მაქსიმალურად ჩაერთოს და მიიღოს მონაწილეობა დუალური განათლების სისტემის დანერგვაში, განათლების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან ერთად. ეს გერმანული აპრობირებული მეთოდია და ვფიქრობ, ძალიან წარმატებული იქნება საქართველოს შემთხვევაში.“

კვირეულის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით, განხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც პროფესიული განათლების შესახებ სხვადასხვა ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლებას და საუკეთესო პრაქტიკის ჩვენებას ისახავს მიზნად. პროცესში ჩართული იქნებიან: მოსწავლეები, კომპანიები, ბიზნეს ორგანიზაციები, საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტრენინგების პროვაიდერები, სოციალური პარტნიორები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ექსპერტები.

პროფესიული უნარების ევროპული კვირეული, პირველად, 2016 წელს გაიმართა ბრიუსელში, რომელშიც, პარალელურად, მონაწილეობდნენ წევრი სახელმწიფოები და სხვა მონაწილე ქვეყნები ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე.

ბავშვთა უფლებები

მოუსმინეთ, დღეს „ბავშვები მართავენ“

„პროგრესის მიუხედავად, 180 მილიონი ბავშვი უფრო არასახარბიელო მომავლის წინაშე დგას, ვიდრე მათი მშობლები“ – ამ ინფორმაციას გაეროს ბავშვთა ფონდი, 20 ნოემბერს, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ავრცელებს. იუნისეფის მიერ წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით, გლობალური პროგრესის მიუხედავად, მსოფლიო მასშტაბით, ყოველი მეთორმეტე ბავშვი ცხოვრობს ქვეყანაში, სადაც მისი მომავლის პერსპექტივა უარესია, ვიდრე მისი მშობლების. ამავე ანალიზის თანახმად, 37 ქვეყანაში მცხოვრები 180 მილიონი ბავშვი, დღეს, უფრო მეტადაა განწირული უკიდურესი სიღარიბისთვის, სკოლის მიღმა დარჩენისთვის თუ ძალადობრივი სიკვდილისთვის, ვიდრე იყვნენ ამავე ქვეყნებში მცხოვრები ბავშვები 20 წლის წინ.

„მაშინ, როცა ბოლო თაობა გახდა მსოფლიოს ბავშვების უმრავლესობისთვის უპრეცედენტოდ მაღალი ცხოვრების სტანდარტების შექმნის მოწმე, ის ფაქტი, რომ უგულვებელყოფილი ბავშვების უმცირესობა მოკლებულია ასეთი სტანდარტებით ცხოვრების შესაძლებლობას ისე, რომ ამაში არც მათ და არც მათ ოჯახებს ბრალი არ მიუძღვით, სხვა არაფერია, თუ არა რეალობის დამახინჯება“ – ამბობს **ლოურენს ჩენდი,** გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემების, კვლევისა და პოლიტიკის დირექტორი.

ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 28-ე წლისთავისა და ბავშვთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, გაეროს ბავშვთა ფონდმა, მსოფლიოს 130-ზე მეტ ქვეყანაში, მოაწყო აქცია, სახელწოდებით – „ბავშვები მართავენ“ და სხვა ღონისძიებები, რომლებშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ბავშვები. მათ საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობა მიეცათ – გამოხატონ საკუთარი პოზიცია, დაეხმარონ ბავშვებს სიცოცხლის გადარჩენაში და იბრძოლონ მათი უფლებებისთვის. *„სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებების ეპოქაში, რასაც შედეგად ცხოვრების სტანდარტების მკვეთრი გაუმჯობესება მოჰყვება, დასაძრახია, რომ ასობით მილიონი ბავშვის ცხოვრების სტანდარტი უარესდება, რაც მათში უსამართლობის განცდას წარმოშობს, მათზე მზრუნველებს კი თავს წარუმატებელ ადამიანებად აგრძნობინებს* – ამბობს ჩენდი. – *რა გასაკვირია, რომ ისინი თავს მიტოვებულად გრძნობენ, მათი მომავალი კი გაურკვეველია.“*

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ, 14 ქვეყანაში, 9-18 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარებული კვლევა, რომელიც 20 ნოემბერს გამოქვეყნდა, ცხადჰყოფს, რომ ბავშვებს ძალიან აწუხებთ გლობალური საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ პირადად მათზე და მათ თანატოლებზე, მათ შორის: ძალადობა, ტერორიზმი, კონფლიქტი, კლიმატური ცვლილებები, ლტოლვილებისა და მიგრანტების მიმართ უსამართლო მოპყრობა და სიღარიბე.

იმ 37 ქვეყნის ჩამონათვალი, სადაც ბავშვებისთვის პერსპექტივა უარესდება, სულ მცირე, ერთ სფეროში, ასეთია: ბენინი, ბოლივია, კამერუნი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, კომოროსი, კოტ დ'იუვარი, ჯიბუტი, ეკვატორული გვინეა, ერიტრეა, გვატემალა, გვინეა, გვინეა-ბისაუ, იორდანია, კირიბატი, ლიბანი, ლიბერია, ლიბია, მადაგასკარი, მალი, მარშალის კუნძლები, მიკრონეზია, პალაუ, პარაგვაი, მოლდოვას რესპუბლიკა, რუმინეთი, სენტ-კიტსი და ნევისი, სოლომონის კუნძულები, სამხრეთ სუდანი, სირიის არაბული რესპუბლიკა, ტონგა, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა, უკრაინა, ვანუატუ, იემენი, ზამბია და ზიმბაბვე.

ბავშვთა საერთაშორისო დღე მთელ მსოფლიოში აღინიშნა – „ბავშვებისთვის და ბავშვების მიერ“. მათ მთელ მსოფლიოში აიღეს მართვის სადავეები მედიაში, პოლიტიკაში, ბიზნესში, სპორტსა და გასართობ ინდუსტრიაში და გამოხატეს საკუთარი პოზიცია – რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება მსოფლიო ლიდერებმა. ისინი მხარდაჭერას უცხადებენ მილიონობით ბავშვს, რომლებსაც ნაკლებად იმედისმომცემი მომავალი აქვთ.

„ბავშვთა საერთაშორისო დღე ჩვენი მოსმენის და საკუთარი მომავლის შესახებ ჩვენი აზრის გამოხატვის დღეა. ჩვენი გზავნილი მკაფიოა: საკუთარი სახელით უნდა ვილაპარაკოთ და როდესაც ამას ვაკეთებთ, მსოფლიომ უნდა მოგვისმინოს“ – ამბობს **ჟადენ მაიკლი,** 14 წლის აქტივისტი.

ბავშვთა მსოფლიო დღე საქართველოშიც მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა, კამპანიის მთავარი სლოგანით – „ბავშვები მართავენ“. მოსწავლეებმა, ერთი დღით, მმართველობა ხელში იმ მიზნით აიღეს, რომ საზოგადოებისთვის თავიანთი ხმა მიეწვდინათ.

ბავშვები მართავენ სკოლას – ეს აქტივობა საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების ჩართვის წახალისების, ასევე, ადმინისტრაციისთვის სკოლის მართვის გაუმჯობესების შესახებ ბავშვების ხედვის გაცნობის მიზნით დაიგეგმა. სკოლებში მხიარული აქტივობები გაიმართა – მოსწავლეებმა, ერთი დღით, სკოლის მართვა გადმოიბარეს, უფროსკლასელებმა უმცროსკლასელებს გაკვეთილები ჩაუტარეს და გამართეს კვლევის „მე რომ სკოლის დირექტორი ვიყო“ პრეზენტაცია.

მაკა ქორიძე, მეთორმეტეკლასელი: *„ამ დღის მთავარი კონცეფცია ის არის, რომ ბავშვები ჩართულები არიან მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. ჩართულობა და, ზოგადად, მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოებისთვის, ისე იმ გარემოსთვის, სადაც ეს ბავშვები ცხოვრობენ. შესაბამისად, მათი აზრებისა და იდეების რეალიზებას უნდა შევუწყოთ ხელი. მაგალითად, მე და ჩემმა მეგობრებმა, ჩვენს სკოლაში აუთვისებელ ტერიტორიაზე პატარა სკვერი მოვაწყვეთ. გარდა ამისა, ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ბავშვების ჩართულობას მათივე პრობლემების გადაწყვეტაში. ისევ ჩვენს მაგალითს მოვიყვან: მოვიძიეთ უსინათლო ბავშვთა სკოლა, ვესტუმრეთ და გავეცანით მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, იმ პრობლემებს, რომელსაც ისინი ყოველდღე ხვდებიან. შესაბამისად, მათთან დიდი დრო გავატარეთ და დავეხმარეთ ამ პრობლემების მოგვარებაში. ისე დავმეგობრდით, რომ ჩვენი ურთიერთობა დღემდე გრძელდება.*

იუნისეფის მიერ დაგეგმილ აქტივობებში ჩართული იყო ყველა – უსინათლოთა სკოლის მოსწავლეებიც და ისინიც, ვისაც არა აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება; ყველა, ვინც ამ სოციალურმა თემებმა დაინტერესა. რაც მთავარია, გვინდა ჩვენი ხმა საზოგადოებას მივაწვდინოთ და დავარწმუნოთ, რომ ბავშვებსაც შეგვიძლია საინტერესო იდეების მოფიქრება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება.“

მეორე ინიციატივა **ბავშვების მიერ პარლამენტის მართვა იყო** – 12-17 წლამდე ასაკის 15-20 მოსწავლე განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის სხდომას წარუძღვა. მათ საკუთარი მოსაზრებები გამოხატეს შემდეგ საკითხებზე: განათლების ხელმისაწვდომობა, ბულინგი და უსაფრთხო სკოლები, არაფორმალური განათლება, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების პროცესში. პოსტერების გამოყენებით, ბავშვებმა უფროსებს საკუთარი ხედვა წარუდგინეს და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით აქტიური ქმედებისკენ მოუწოდეს.

გიორგი შელია, მეთერთმეტეკლასელი: *„დღეს, პარლამენტში, ძალიან კარგი რამ ხდება – უფროსები სხედან და უსმენენ მოსწავლეებს. მოსწავლეები კი წარადგენენ ინიციატივებს, რომელიც, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესო და საჭიროა. ერთ-ერთი ინიციატივა სასწავლო პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრირებას შეეხება, რომელსაც მე და ჩემი მეგობრები წარვადგენთ. ასევე, ძალიან საინტერესოა დანარჩენი სამი ინიციატივაც – ბულინგის პრობლემა სკოლაში და მისი აღმოფხვრის გზები, არაფორმალური განათლების ინტეგრირება სასწავლო პროცესში და ხელმისაწვდომობის ისეთ დონეზე აყვანა, რომ ნებისმიერმა მოსწავლემ შეძლოს გაკვეთილისთვის მომზადება. რაც მთავარია, ყველასთვის მარტივი იყოს საგაკვეთილო პროცესი. მაგალითად, უსინათლო მოსწავლეებისთვის წიგნების გახმოვანება, რაც უკვე გაკეთდა 202-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის. დარწმუნებული ვარ, ამ ინიციატივების განხორციელებით საკმაოდ დიდ პროგრესს მივაღწევთ. იმედია, ჩვენს სათქმელს მივიტანთ კანონმდებლებამდე.“*

20 ნოემბერს, ბავშვებმა **მედიის მართვაშიც** აიღეს ინიციატივა და თავიანთი შესაძლებლობები თანაწამყვანების როლშიც გამოავლინეს – ახალგაზრდა რეპორტიორებმა „იმედის“ გადაცემაში „დღის შოუ“ ბავშვების პრობლემებზე ისაუბრეს.

ამ დღეს ბავშვებმა **საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის ფეისბუქის გვერდიც მართეს** – შერჩეულმა უფროსკლასელებმა იუნისეფის ფეისბუქგვერდის ადმინისტრატორის როლი მოირგეს და დაწერეს პოსტი, თემაზე – „ერთი რამ, რასაც გავაკეთებდი სამყაროს შესაცვლელად.“

გამარჯობა, მე ელენე ტუშური ვარ, იუნისეფის Facebook გვერდის დღევანდელი ადმინისტრატორი, რადგან დღეს #ბავშვებიმართავენ.
ჩემი დროის ძირითად ნაწილს სკოლაში ვატარებ, იქ, სადაც უნდა ვიღებდე ისეთი დონის განათლებას, რომლითაც ჯერ სასკოლო, შემდეგ ეროვნულ გამოცდებს ჩავაბარებ და ბოლოს უნივერსიტეტში გავაგრძელებ სწავლას, მაგრამ რატომღაც ასე არ ხდება. საქართველო ბოლონიის პროცესის მონაწილეა, რაც 12-წლიან სწავლებას ითვალისწინებს, მაგრამ სამწუხაროდ საქართველოში მეთორმეტე კლასში, ფაქტობრივად, არაფერი ისწავლება. ალბათ იკითხავთ – მაშინ რა საჭიროა მეთორმეტე კლასი?! ჩემი აზრით, მეთორმეტე კლასი ზედმეტი სულაც არაა. იმისთვის, რომ დადებითად შევხედოთ სასკოლო განათლების ბოლო ეტაპს, მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს გარკვეული სისტემა, შეიქმნას სახელმძღვანელოს შერჩევის პრინციპი, დაიმსხვრეს ის სტერეოტიპი, რომ არსებობს ორი სახის გაკვეთილი: საჭირო და „ამის სწავლა რაში გამომადგება“ (თუმცა ეს ბოლო პუნქტი სისტემის შექმნაზეა დამოკიდებული), ასევე აუცილებელია მოსწავლეებისთვის სტიმულის მიცემა, შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც მოსწავლეებში სკოლაზე გულის აცრუების მიზეზებს გააქრობს და ბოლოს მოსწავლეების უშუალო კონტაქტი მათთან, ვისი პირდაპირი მოვალეობაც განათლების სისტემაზე მუშაობაა.
მოგვისმინეთ და მოგვეცით შესაძლებლობა დაგეხმაროთ.

მოგესალმებით, მე თათა ალფაიძე ვარ, დღეს UNICEF-ის Facebook გვერდს #ბავშვებიმართავენ.
სამყარო სავსეა მრავალი პრობლემითა და გაურკვევლობით და, სამწუხაროდ, ყველაზე მეტად ეს პრობლემები იმ ადამიანებს აზარალებთ, რომლებიც აბსოლუტურად უდანაშაულოები და დაუცველები არიან – ბავშვებს.
ძალიან რთულია ყოველდღე უყურო, თუ როგორ წვალობენ და იხარჯებიან შენი თანატოლები მხოლოდ იმიტომ, რომ შეძლებულ ოჯახში არ დაიბადნენ. ამიტომაც მინდა მათ დავეხმარო. ძალიან ბევრი ბავშვია ჩვენ გარშემო, თუნდაც მაღალმთიან სოფლებში, ვისაც არ აქვს შესაძლებლობა, შორ მანძილზე იაროს სკოლაში. მათი სკოლამდე ტრანსპორტირება საკმაოდ დიდი პრობლემაა. ამიტომ შევქმნიდი ტრანსპორტს, რომელიც სპეციალურად ბავშვების გადაადგილებისათვის იქნებოდა განკუთვნილი – სკოლამდე და სკოლიდან.
შედეგად, ამ ბავშვებს შეეძლებოდათ განათლების მიღება, რაც მომავლის პერსპექტივას გაუჩენდათ. ამით ვეცდებოდი, რომ მათთვის სამყარო უკეთესი გამეხადა.

გამარჯობა, მე დიმიტრი დოლიძე ვარ და დღეს UNICEF-ის Facebook გვერდს #ბავშვებიმართავენ. მეც მსურს ჩემი აზრი გაგიზიაროთ.
ხშირად ბავშვებს, მათი ასაკისა და გამოცდილების ნაკლებობის გამო, არ ეკითხებიან აზრს იმ საქმეებზე, რომლებიც მათ ეხებათ, რაც, ჩემი აზრით, შეცდომაა. ბავშვებს სხვადასხვა საკითხზე განსხვავეული შეხედულებები აქვთ. მაგალითად, ყველა სკოლაში არ არის განათლების საკმარისად მაღალი დონე. ამის მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს, ცუდი სასწავლო სისტემა ან მასწავლებლების თუ ბავშვების არასათანადო მონდომება. თუმცა ვთვლი, რომ კარგი მასწავლებელი ნებისმიერ ბავშვს შეაყვარებს თავის საგანს.
ასევე, სკოლებში ზოგ საგანს არ ექცევა ყურადღება, მაგალითად, ხელოვნებას ან მუსიკას. არა იმიტომ, რომ ცუდი საგანია, არამედ იმიტომ, რომ მათ არასწორად ასწავლიან. რა თქმა უნდა, საინტერესოა ლეონარდო და ვინჩის ბიოგრაფია, მაგრამ ამით ბავშვს ხელოვნებას ვერ შეაყვარებ, თუ თვითონ არ დახატავს, გამოძერწავს, მაშინ ის ამ საგნისგან სიამოვნებას ვერ მიიღებს. იგივეს თქმა შეიძლება მუსიკაზეც – რა თქმა უნდა, მოცარტის ნაწარმოებების სახელების ზეპირად სწავლა ძალიან „სახალისოა“ მაგრამ თუ ბავშვი არ მოისმენს და არ იგრძნობს ამ მუსიკას, ყოველგვარი ინტერესი დაეკარგება.

გამარჯობა, მე ამირან აფციაური ვარ. დღეს ბავშვთა მსოფლიო დღეა და მე ვმართავ UNICEF-ის Facebook გვერდს!
დღეს პარლამენტს #ბავშვებიმართავენ. ჩვენ მოვედით პარლამენტის კომიტეტის სხდომათა დარბაზში, რათა თავად მოვირგოთ დეპუტატების როლი და ვისაუბროთ იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენს მომავალს ეხება. ბავშვები წარმოადგენენ პრეზენტაციებსა და იდეებს იმისთვის, რომ უკეთესი გახადონ გარემო ბავშვებისათვის.
მოხარული ვარ, რომ მეძლევა საშუალება კანონმდებლებს გავაგონო ჩემი ხმა. იმედი მაქვს, მომავალში ბავშვებს უფრო მეტად მოუსმენენ!

გამარჯობა, მე ვარ ელენე მალაციძე და დღეს მე ვმართავ UNICEF-ის Facebook გვერდს. დღეს 150-ე საჯარო სკოლაში რამდენიმე აქტივობა განხორციელდა – ბავშვებმა მოირგეს სკოლის მასწავლებლების და ადმინისტრაციის როლები. ასევე წარმოვადგინეთ პრეზენტაცია „მე რომ სკოლის დირექტორი ვიყო“, რომელშიც გავითვალისწინეთ მოსწავლეების სურვილები.
იმედი მაქვს, ასეთი ღონისძიებები კიდევ ბევრჯერ ჩატარდება და ჩვენს ხმას უფრო მეტად მოისმენენ.

მაკა ქორიძე კი გაეროს ბავშვთა ფონდის ელჩს საქართველოში, ნიკოლოზ რაჭველს ეწვია და რამდენიმე კითხვა დაუსვა ბავშვებისთვის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. *„ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო მასთან შეხვედრა და მიხარია, რომ ამ დღის ერთ-ერთი მონაწილე ვარ.“* – აცხადებს მაკა ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ.

„საერთოდ, კულტურათა შორის, ერთ-ერთ უმთავრესად ყოველთვის მოსმენა და ერთმანეთის თანაგრძნობა მიმაჩნდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანების მოსმენა, ვისგანაც, რაც უფრო ვიზრდებით, მით უფრო მეტის სწავლა შეგვიძლია. ვფიქრობ, ეს ყველა თაობისთვის მომავალი თაობაა და ბავშვების ხედვის გააზრებით, ჩვენ გაცილებით უფრო ეფექტურები ვიქნებით“ – ამბობს **ნიკოლოზ რაჭველი.**

რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ შშმ ბავშვებს ისეთივე შესაძლებლობები ჰქონდეთ, როგორც დანარჩენებს? – ამ კითხვას იუნისეფის ელჩი საქართველოში პასუხობს, რომ: *„არც ისე რთულია სწორად დაიგეგმოს ის ნაბიჯი, რომელიც მათთვის უაღესად სასარგებლო იქნება... ეს არის ადამიანების ჯგუფი, ვისაც სრული უფლება აქვს, ისარგებლოს ჩვენი ქალაქით, გარემოთი ზუსტად ისევე, როგორც სარგებლობენ სხვები, მიიღონ ზუსტად ისეთივე პროფესიული განათლება და იყვნენ ზუსტად ისეთივე ნაწილი ჩვენი სოციუმის, როგორც დანარჩენები. ეს, ჩემი აზრით, სავსებით შესაძლებელია, უბრალოდ, ამისთვის საჭიროა სახელმწიფოს და თითოეული მოქალაქის მხრიდან გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. პირველ რიგში, იმის გააზრება, რა უნდა გავუკეთოთ მათ. მეორე რიგში, არავის დავუცადოთ და ყველამ თითო აგური დავდოთ იმისთვის, რომ ამ არაჩვეულებრივმა ადამიანებმა ჩვენს ქვეყანაში თავი ბრწყინვალედ იგრძნონ.“*

მოამზადა ლალი ჯელაძემ

სტუდენტური კონფერენცია

მიმდინარე წლის 7 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის კვლევითი ცენტრისა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ორგანიზებით, პროექტის „ვკითხულობთ რუსთაველს“ ფარგლებში, შოთა რუსთაველის 850 წლის და რევაზ სირაძის სახელობის რუსთაველის კლუბის დაარსების 5 წლის იუბილე აღინიშნა სტუდენტთა კონფერენციით – „პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიური კონცეფციები“. დღეს შემოგთავაზებთ ორ თემას:

მეცნიერების რაინდი

პავლე ინგოროყვას პორტრეტისათვის

გიორგი გოგუა
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მაგისტრანტი

სამშობლოს უანგარო სიყვარულით გულანთებული მამულიშვილები შემთხვევით როდი ევლინებიან ქვეყანას! ამ დიად კაცთა პანთეონს ვინ რა დამსახურებითა და ღვაწლით შეერთებია, ისტორიის ფურცლებიდანაც კარგად ჩანს. მხოლოდ ესაა, განსხვავებულია მათი ეპოქა, სამოღვაწეო და საბრძოლო ასპარეზი. საერთოა ის ღირებულებები, მრწამსი და სულისკვეთება, დღემდე ერის სიმტკიცის ბურჯად რომ მიგვაჩნია თაობებს.

პავლე ინგოროყვა ერთ-ერთი იმათგანია, ვინც საკუთარი ნიჭით, ენთუზიაზმითა და შრომით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქვეყნის კულტურული თვითმყოფადობის წარმოჩენას, მის დაცვასა და შენარჩუნებას. იმ ეპოქის გათვალისწინებით, რომელშიც დიდ მეცნიერს უწევდა მოღვაწეობა, ეროვნული იდეისათვის ბრძოლა მართლაც რომ გმირობის ტოლფასი იყო. რეჟიმის იდეოლოგიურ დოგმატიზმთან ცალსახა წინააღმდეგობაში მოსული ქართული იდენტობის დაცვის ტვირთი, სხვებთან ერთად, პავლე ინგოროყვას მხრებზეც გადადიოდა. საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკა კი მით უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენდა კაცისთვის, რომლის ხელმოწერაც დამოუკიდებლობის აქტზე იყო აღბეჭდილი. შეუპოვრობისა და სიმტკიცის ამ ხანგრძლივ მატიანეს მეცნიერის ადრეულ წლებამდე მივყავართ, კერძოდ, მის სიჭაბუკემდე. აქ კი შეუძლებელია კაცს არ გაახსენდეს ერთი ფრაგმენტი მისი ცხოვრებიდან. ყმაწვილი პავლე თურმე ხშირად ჯდებოდა ნავში, მოუსვამდა ნიჩბებს პალიასტომის ტბაში და მზის ჩასვლამდე კითხულობდა წიგნებს. რამდენჯერაც წარმოვიდგენ ამ სურათს, იმდენჯერ მეღიმება და ვხედავ პატარა ბიჭუნას ცნობისწადილით ანთებულ თვალებს – აჩქარებით რომ მიჰყვებიან ტექსტთა სტრიქონებს. ვხედავ ადრეული პერიოდიდან – ჭარმაგ მეცნიერებამდე განვლილ მის რთულ და ზეაღმავალ გზას.

განსაცვიფრებელი ნიჭით დაჯილდოებულ ამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცს, ადრეულ წლებში, ექვთიმე თაყაიშვილი დასდგომია ქომაგად. „განძის მცველი“ თურმე აღფრთოვანებულა ჭაბუკი პავლეს გასაოცარი ანალიტიკური უნარითა და გაუნელებელი ენთუზიაზმით. სწორედ დიდი ექვთიმეს ხელშეწყობით მოხერხდა ის, რომ პავლე ინგოროყვამ პეტერბურგის უნივერსიტეტში შეძლო სწავლის გაგრძელება, ისტორია-ფილოლოგიის განხრით. სწავლის წარმატებით დასრულების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებული, აქტიურად ჩაერთო ქვეყნის როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი, 1919 წლამდე, გახლდათ „საქართველოს ეროვნული საბჭოს“ წევრი სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან. მისი დამსახურება ერის წინაშე არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც შეუფასებელია. პოეტ გიორგი ლეონიძის თქმით, „სხვა თუ არაფერი, პავლე ინგოროყვას მხოლოდ ის ეყოფა უკვდავსაყოფად, რომ თურქებს დოკუმენტურად დაუსაბუთა, ჩვენი საზღვარი არა ჩოლოქზე, არამედ ჭოროხზე გადისო“. ეს და კიდევ უამრავი სხვა გარემოება, ნათლად მეტყველებს პავლე ინგოროყვას, როგორც სამშობლოსათვის დამაშვრალი მამულიშვილის, ნაყოფიერ მოღვაწეობაზე. სწორედ მისი უშუალო ძალისხმევით, 1924 წელს, დაარსდა ჟურნალი „კავკასიონი“, რომელიც შემდგომ ბოლშევიკურმა რეჟიმმა აკრძალა. იგივე ბედი გაიზიარა გამომცემლობა „ქართულმა წიგნმა“, რომლის გამართვაც მის სახელს უკავშირდება.

საყოველთაოდ ცნობილია პავლე ინგოროყვას ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომი „გიორგი მერჩულე“, რომელზეც თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუშაობდა. აქ მან აღმოაჩინა რიტმული პოეზიის მაგალითები და სცადა ძველი ქართული სანოტო სისტემის გაშიფვრა. სულ მოიძია 31 ჰიმნი და 1200-მდე საგალობელი.

რუსთველოლოგია პავლე ინგოროყვას მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი სფერო იყო. მან მრავალი წელი შესწირა შოთა რუსთაველის ვინაობისა და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კვლევას, რის შედეგადაც შექმნა ფუნდამენტური ნაშრომები. მათ შორის, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ „რუსთველიანა“ (1926), რომელშიც, ფაქტობრივ მტკიცებულებებსა და პოემის ტექსტის ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით, დადგენილია შოთა რუსთაველის მოღვაწეობისა და „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღები. „რუსთველიანას“ წიგნად გამოსვლამდე გაუჩენია ღრმა ინტერესი რუსთველოლოგიურ წრეებში. ამას მოჰყვა „რუსთველიანას ეპილოგი“, „რუსთაველი და მისი პოემა“ (1937), „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“ (1940-1941), „შოთა რუსთაველი“ (1937), „ვეფხისტყაოსნის ტექსტი“ (1953); ამასთანავე, ორჯერ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ – 1953 და 1971 წლებში. გამოაქვეყნა მრავალი სტატია.

პავლე ინგოროყვას მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომები წარმოაჩენენ, როგორც ფართო ერუდიციის მქონე, მრავალმხრივ განსწავლულ, დაუღალავ მეცნიერს, რომლის უაღრესად დაკვირვებულ თვალს, გამძაფრებულ ინტუიციას და ღრმა ანალიტიკურ გონებას ახლავს საოცარი შემოქმედებითი მუხტი, მოვლენათა და ფაქტთა ურთიერთდაკავშირების იშვიათი უნარი. საქმეში რეალიზებული უდიდესი პატრიოტიზმი – ეს არის პავლე ინგოროყვა, ჭეშმარიტი მეცნიერი, მკვლევარი, ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლის მოამაგე, თავისი ფასდაუდებელი ნაღვაწით.

მისი ცხოვრება სავსე იყო გამარჯვებების სიხარულითა და მოშურნეთაგან მიყენებული გულისტკივილით, მაგრამ ის ქართველ ერთან ერთად აგრძელებს ცხოვრებას, მისი სახელი მარადიულად იარსებებს ერის ხსოვნაში.

ვასილ ბარნოვი „რუსთველიანას“ წინაალმდეგ

მარიამ პაპაშვილი
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფილოლოგიის ბაკალავრი

1929 წელს ვასილ ბარნოვი ამთავრებს რომანს „თამარ მრწემი“, რომელიც პირველად 1934 წელს გამოქვეყნდა. თხზულება ასახავს მონღოლთა ბატონობის დროინდელ საქართველოს, მე-13 საუკუნის შუაწლებს. რომანის ერთ-ერთი პერსონაჟია ქართველი წარჩინებული შოთა კუპრი. იგი სულ ორჯერ ფრაგმენტულად გამოჩნდება სიუჟეტში. როგორც აკადემიური გამოცემის კომენტარებშია აღნიშნული, ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ცნობები „ქართლის ცხოვრებიდან“. ტექსტის გაცნობისთანავე ცხადი ხდება, რომ ავტორი დაყრდნობია იმ ცნობებს, რომლებიც მე-14 საუკუნის „ჟამთააღმწერლობაში“, ანუ „ასწლოვან მატიანეში“ მოიპოვება. სწორედ ამ ისტორიული ქრონიკის თანახმად, მონღოლთა ბატონობისდროინდელ საქართველოში გამოჩენილი წარჩინებულია ჰერეთის ერისთავი – შოთა კუპარი. ვასილ ბარნოვს უსარგებლია მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრებით“, რომელშიც მოხსენიებულია „კუპრი შოთა“ ან „შოთა კუპრი“. მიუხედავად იმისა, რომ დავით ულუს ასულის, თამარის, შესახებ რომანში გადმოცემული ამბავი, ისევე როგორც ბევრი სხვა ფაქტი, განსხვავდება ისტორიკოსის მონათხრობისგან, „თამარ მრწემის“ შინაარსის გაცნობა ეჭვს არ იწვევს, რომ ის ნასაზრდოებია ჟამთააღმწერლის ცნობებით, მაგრამ რაც შეეხება ერთ-ერთ პერსონაჟს, შოთა კუპრს, საფიქრებელია, რომ ეს სახელი მწერლისთვის სხვა კონტექსტშიც იქნებოდა საყურადღებო. საქმე ისაა, რომ, როცა მწერალი თავის რომანს წერდა, 1929 წელს, უკვე გამოქვეყნებული იყო პავლე ინგოროყვას ნაშრომი „რუსთველიანა“, რომელიც წიგნად 1926 წელს გამოიცა. მანამდე, ჯერ კიდევ 1922 წელს, მკვლევარმა ნაშრომი ოთხი მოხსენების სახით წარუდგინა საზოგადოებას. აღსანიშნავია, რომ გაზეთ „ბახტრიონის“ პირველ, მე-2 და მე-4 ნომრებში დაბეჭდილი იყო ანგარიში ინგოროყვას რუსთველოლოგიური კვლევების შესახებ და იმავე წელს, იმავე გაზეთში, ვასილ ბარნოვმა გამოაქვეყნა მოთხრობა „ღიმი დამღუპი“ და რამდენიმე სტატია. იმის დასტურად, რომ ვასილ ბარნოვს ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა პავლე ინგოროყვას „რუსთველიანა“, ჟურნალ „ქართული მწერლობის“ 1926 წლის მე-6, მე-7 ნომრებიც გამოდგება, რომლებშიც, ერთი მხრივ, დაბეჭდილია ვასილ ბარნოვის მოთხრობა „მარგალიტის ცრემლები“, ხოლო მეორე მხრივ, სერგი გორგაძის გამოხმაურება „სამაგალითო ნაშრომი: პავლე ინგოროყვას ახალი ნაშრომის გამო“. პავლე ინგოროყვას ფუნდამენტური კვლევის ძირითადი მიზანი იყო დაემტკიცებინა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, შოთა რუსთველი, მე-13 საუკუნის ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრია.

უნდა აღინიშნოს, რომ „თამარ მრწემის“ გულისყურით გაცნობა ეჭვს არ იწვევს, რომ ვასილ ბარნოვს არ გაუზიარებია მკვლევრის კონცეფცია. პავლე ინგოროყვა „კუპარს“ განმარტავდა, როგორც „სარწმუნოებიდან განდგომილს“, ვასილ ბარნოვისთვის კუპრი-კუპარი მხოლოდ სიშავის, შავგვრემანობის აღმნიშვნელია. მარლთაც, რომანში შოთას გარეგნობის ნიშანია „შავად შემწვარი“. მისი რაიმე კავშირი მწიგნობრობასთან არსად ჩანს. ამას გარდა, ინგოროყვას თეორიისათვის მნიშვნელოვანია, რომ რაკი შოთა სარწმუნოებიდან, ანუ ქრისტიანობიდან გადამდგარი ყოფილა, მას ჟამთააღმწერელი აუგად მოიხსენიებს. საქმე ისაა, რომ მკვლევრის თვალსაზრისით, სწორედ შოთას მიემართება მემატიანის სიტყვები: „არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“. „თამარ მრწემში“ კი მკრთალად, მაგრამ მაინც არის შენიშნული, რომ შოთა ღირსეული და გამორჩეული ადამიანია. ცხადი ხდება, რომ ვასილ ბარნოვი არ იზიარებს პავლე ინგოროყვას შეხედულებას და მეტიც, ის მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული სიტყვები ჟამთააღმწერლისა საერთოდ არ მიემართება შოთას.

საყურადღებოა, რომ „თამარ მრწემის“ გამოუქვეყნებელ ვერსიებში ვასილ ბარნოვი არ უარყოფს შოთა რუსთაველისა და შოთა კუპრის იგივეობის ვერსიას. როგორც ლიტერატურათმცოდნე მერაბ ღაღანიძე შენიშნავს, ხელნაწერებში „მკაფიოდ ასახულა, თუ როგორ ჭოჭმანობს მწერალი ამ საკითხის გამო“. ხელნაწერთა მონაცემები ვარიანტულია, შოთა პირდაპირ სახელდებულია რუსთველად, რუსთავის ბატონ-პატრონად ან რუსთავის თავადად. ეს „რუსთველიანას“ გამოძახილია. როგორც ჩანს, ვასილ ბარნოვი ერთხანს იზიარებდა პავლე ინგოროყვას თეორიას, თუმცა შემდეგ პოზიცია შეიცვალა. ძნელია ითქვას, რამ შეაცვლევინა მწერალს თავისი პირვანდელი დამოკიდებულება: შესაძლოა წყაროთა დაკვირვებულმა წაკითხვამ ან პავლე ინგოროყვას თეორიის მკაცრმა კრიტიკამ, განსაკუთრებით კორნელი კეკელიძის მხრიდან.

„რუსთველიანას“ გამოცემისა და „თამარ მრწემის“ გამოქვეყნების შემდეგ, 1930 წელს, მწერალი ამთავრებს თავის უკანასკნელ რომანს „პირიმზე“, რომელიც თამარ მეფეს ეძღვნება. გიორგი მესამის მიერ თამარის თანააღსაყდრების ზეიმზე ეპიზოდურად გამოჩნდება შოთა, რომელიც ხოტბას ასხამს თამარს. „ვეფხისტყაოსნის“ მსუბუქად სახეცვლილ პირველ სტროფებს იგი მეფე-ქალის წინაშე წარმოთქვამს. თამარი მას ოქროს კალამს უძღვნის, რის შემდეგაც „ის ოქროს კალამი ქუდზედ გაიმაგრა მგოსანმა. აღარც მოჰშორდა სამკაული მის ნათელ შუბლსა“.

შოთა რუსთაველის სახე რომანში წარმოდგენილია წარმომავლობისა და ვინაობის მინიშნების გარეშე. კიდევ ერთ ფაქტს მინდა გავუსვა ხაზი, ვასილ ბარნოვის არქივში დაცულია მისი, სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი, ესე „შოთა რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ (გამოქვეყნდა 1938 წელს). ტექსტი მწერლის მიერ ამგვარადაა დათარიღებული – 1924 წლის შემდეგ. ამიტომ შეუძლებელია ზუსტი თარიღის დადგენა. ისიც კი არ შეგვიძლია ვთქვათ დაზუსტებით, იმ პერიოდში იცნობდა თუ არა მწერალი „რუსთველიანას“. ესეს მიხედვით, ვასილ ბარნოვი რუსთაველის წარმოშობას მესხეთის დაბა რუსთავს უკავშირებს. აღნიშნავს, რომ შოთას გვარი უცნობია.

მწერალი და მეცნიერი, ბატონი როსტომ ჩხეიძე, ავტორი ბიოგრაფიული რომანისა „ბედი პავლე ინგოროყვასი“, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვასილ ბარნოვის ხელნაწერებში შემონახულ ვარიანტებს, ცნობებს, რომლებიც რუსთაველის სახეს მიემართება. ეს ვარიანტები ვასილ ბარნოვის თავდაპირველ, უშუალო განცდებსა და შთაბეჭდილებებს ასახავს. სწორედ მათი გამოძახილია ბატონი როსტომის წერილი „ოჰ, ეს ვარიანტული სახესხვაობანი“.

სამოდელო გაკვეთილების ეფექტური დაგეგმვა და შეფასება

გაკვეთილის ეფექტური დაგეგმვა და შეფასება კარგად ნაცნობი თემაა პედაგოგებისთვის, მაგრამ სქემის ფარგლებში სამოდელო გაკვეთილების ჩატარება და შეფასება გარკვეულ სტანდარტებთანაა დაკავშირებული. მასწავლებლებმა ოთხი სხვადასხვა ტიპის სამოდელო გაკვეთილი უნდა ჩაატარონ, როგორიცაა:

1) ინტეგრირებული გაკვეთილი;
2) პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
3) გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
4) ინოვაციური გაკვეთილი.

საერთო ყველა ტიპის გაკვეთილისთვის ისაა, რომ გაკვეთილის იდეა შერჩეული იყოს შესასწავლი თემიდან გამომდინარე, უნდა გამომდინარეობდეს ესგ-ის საგნობრივი სტანდარტიდან და ხელს უნდა უწყობდეს მასში დასახული შედეგების მიღწევას; შემდეგ მოვიძიოთ დამატებითი ინფორმაცია, რესურსები, გავაკეთოთ გეგმის მონახაზი, გავწეროთ თითოეული აქტივობის მიზანი, დრო, რესურსი, კლასის ორგანიზაციისა და შეფასების ფორმები.

გთავაზობთ პრობლემაზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვის ნიმუშს ქართულ ენაში – IV კლასი.

სამოდელო გაკვეთილის გეგმა ქართულ ენაში

გაკვეთილის ტიპი: პრობლემაზე ორიენტირებული
ავტორი: ნათია დარჩია

თემა	სტატია – „რა არის ეკოლოგია“
სასწავლო საკითხები	პრობლემის გამოვლენა-გააზრება, პრობლემის გადასაჭრელად დასამუშავებელი ინფორმაციის დახარისხება, გაანალიზება, პრობლემის გადაჭრის გზების მოძებნა.
მიზანი და შედეგი	საინფორმაციო ტექსტის გაანალიზება, გაცნობიერება – რა პრობლემის წინაშე დგას ადამიანი ბუნების განადგურებისა და დაბინძურების გამო, მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ეკოლოგიური განათლება – რა არის ეკოლოგია, ეკოლოგიური საფრთხეები, როგორ დავიცვათ გარემო ჩვენ ირგვლივ. ეკოლოგიური წიგნიერების განვითარება.
ესგ-ის შედეგი. მისაღწევი შედეგის ინდიკატორები.	**ქართ. IV. 1.** მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად აღიქვას სხვადასხვა სახის ტექსტი და გადმოსცეს მათი შინაარსი. • გადმოსცემს არამხატვრული ტექსტის შინაარსს. **ქართ. IV. 5. მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობი თემების შემცველი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების (რეკლამის, საყმაწვილო ჟურნალის განცხადების, საყმაწვილო ენციკლოპედიის სტატიისა და სხვ.) წაკითხვა და გაგება.** • მოიძიებს ტექსტში კონკრეტულ ინფორმაციას; • აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები; • განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან მის სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს; • განარჩევს ფაქტს თვალსაზრისისაგან; **ქართ. IV. 8. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხული ტექსტის (მხატვრულის/არამხატვრულის) მიმართ; ავლენს ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს.** • განმარტავს, რით არის კონკრეტული ტექსტი მისთვის საინტერესო; • მონაწილეობს წაკითხულის შესახებ გამართულ დისკუსიებში; საკუთარი შეხედულების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან. **ქართ. IV. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება ინფორმაციის მოსაძიებლად და კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად.** • ტექსტის უკეთ გაგების მიზნით სვამს კითხვებს წაკითხულთან დაკავშირებით; • აკვირდება კითხვებზე გაცემულ პასუხებს და განარჩევს, რომელ ოპერაციას მიმართა მკითხველმა შემდეგი სამიდან: ა) პასუხი პირდაპირ იყო ტექსტში მოცემული; ბ) პასუხის გასაცემად საჭირო იყო რამდენიმე სახის ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება; გ) პასუხი არ იყო ტექსტში; მკითხველი დაეყრდნო ტექსტში მოცემულ ინფორმაციას, დაუკავშირა იგი საკუთარ ცოდნას და ამის საფუძველზე გამოიტანა დასკვნა.
აქტუალობა	მოსწავლემ ამ ასაკშივე უნდა გააცნობიეროს რა ეკოლოგიური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს ბუნებრივი ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას; როგორი დაავადებები შეიძლება გამოიწვიოს არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელების არსებობამ, რადგან ისინი შეხებაში იმყოფებიან სამივე ტიპის ეკოსისტემასთან (ჰაერი, წყალი, ნიადაგი) და აბინძურებენ მათ.
მოდელირების მიზანი/მეთოდური სიახლე	პრობლემური ტიპის გაკვეთილით სწავლების ეფექტური სტრატეგიების მრავალფეროვნების წარმოჩენა.
სწავლების საფეხური	IV კლასი
მოსწავლეთა პროფილი	კლასში 28 მოსწავლეა, სწავლების ჩვეულებრივი ტემპი ყველასთვის მისაღებია.
საჭირო დრო	45 წუთი –1 გაკვეთილი.
წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები	მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ სწორი კითხვის, ტექსტის გაგების, გაანალიზების უნარები. გამოთქვამენ აზრს, მსჯელობენ, შეუძლიათ დამოუკიდებლად, წყვილებში, ჯგუფურად მუშაობა. ფლობენ ცოდნის ტრანსფერის მათი ასაკისთვის შესაფერის უნარებს, შეუძლიათ საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაცია. ფლობენ ბუკის გამოყენების ტექნიკას.
საგანმანათლებლო რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, ინდივიდუალური ბარათები, ინტერნეტი. პროექტორი, ეკრანი, ბუკი, პოსტერები.ფერადი ფანქრები, ფურცლები, მარკერები, მოსწავლეთა ნამუშევრები, მაგნიტები.
აქტივობები	1. საორგანიზაციო საკითხის მოგვარება; გაკვეთილის თემისა და მიზნის, შეფასების რუბრიკების წარდგენა. 2. კლასთან ერთობლივი ინტერაქცია-კითხვების დასმა. ასოციაციური რუკის შედგენა – „ეკოლოგიური საფრთხეები“. 3. ტექსტის კითხვა; კითხვების დასმა. 4. ფილმის პრეზენტაცია – „ეკოლოგიური საფრთხეები“. 5. დიფერენცირებულ დავალებებზე მუშაობა წყვილებსა და ჯგუფებში. 6. ნამუშევრების პრეზენტაცია. 7. საუბარი – დასკვნის გაკეთება – რა ვისწავლე? როგორ გამოვიყენებ ამ ცოდნას?

შეფასების საგანი და პროცედურები

	კარგი	საშუალო	დამაკმაყოფილებელი
შეუძლია საინფორმაციო ტექსტის გაგება-გაანალიზება.	კარგად გაართვა თავი დაგეგმილ აქტივობებს.	საჭიროებს დამატებით მუშაობას უკეთესი შედეგის მიღწევის მიზნით.	საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას.
აცნობიერებს ჩვენ ირგვლივ არსებულ ეკოლოგიურ საფრთხეებს.	მსჯელობს და მოჰყავს არგუმენტები ტექსტიდან და პირადი გამოცდილებიდან.	საჭიროებს დამატებით მუშაობას უკეთესი შედეგის მიღწევის მიზნით.	საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას.
მსჯელობს პრობლემის გადაჭრის გზებზე.	კარგად გაართვა თავი პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელი ინფორმაციის დახარისხება-გაანალიზებას.	საჭიროებს დამატებით მუშაობას უკეთესი შედეგის მიღწევის მიზნით.	საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას.

მოსწავლის თვითშეფასება

რა ვისწავლე?	
რა გამომდის კარგად? რა არის ჩემი წარმატების მიზეზი?	
რა ვერ გავიგე?	
ვის მივმართავ დასახმარებლად?	

გაკვეთილის მსვლელობა

A ფაზა – გამოწვევა (10წთ)

აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზაციის ფორმა	რესურსები
საორგანიზაციო საკითხის მოგვარება; გაკვეთილის თემისა და მიზნის, შეფასების რუბრიკების წარდგენა	მოსწავლეთა მობილიზება საგაკვეთილო პროცესისთვის	2წთ	საკლასო	ჟურნალი, კალმისტარი, დაფა, ცარცი, შეფასების რუბრიკის ბარათები
კლასთან ერთობლივი ინტერაქცია – კითხვების დასმა; ასოციაციური რუკის შედგენა – „ეკოლოგიური საფრთხეები“	შესწავლილი მასალის გააქტიურება	მთელ კლასთან მუშაობა	ინდივიდუალური ბარათები	დაკვირვების საფუძველზე განმავითარებელი შეფასება

1) გახსოვთ, ჩვენ ვიყავით ეთნოგრაფიულ მუზეუმში. რა თემაზე ჩატარდა იქ ლექცია? (ეკოლოგიურ პრობლემებზე).

2) რა პრობლემა გამოიკვეთა და რასთან დააკავშირეთ? (ხეების გაჩეხვის პრობლემა, დავაკავშირეთ წყალდიდობასთან თბილისში).

3) რა გამოიწვია ამ პრობლემამ? (ადამიანების სიკვდილი; ცხოველების სიკვდილი; ზოოპარკის დაზიანება; სხვა სახის მატერიალური ზარალი).

4) რით უკავშირდება ლექცია ჩვენს სტატიას? (ორივეგან ადამიანი ბუნების, გარემოს გაუფრთხილებლობის მძიმე შედეგს იმკის.).

5) კიდევ რა ეკოლოგიური საფრთხეები არსებობს ჩვენ ირგვლივ, თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე? (ეზოს დაბინძურება, სკოლის გარემოს გაუფრთხილებლობა, ნარჩენების უკონტროლო გადაყრა, ცხოველების, მცენარეების განადგურება, გაუფრთხილებლობით ხანძრის გაჩენა...) ასოციაციური რუკა – „ეკოლოგიური საფრთხეები“.

B ფაზა – შინაარსის რეალიზება (სიღრმისეული წვდომა, ცოდნის კონსტრუირება), 25წთ.

აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზაციის ფორმა	რესურსები	შეფასება
ტექსტის კითხვა; კითხვების დასმა	შესწავლილი მასალის გააქტიურება	7წთ	მთელ კლასთან მუშაობა	სახელმძღვანელო	დაკვირვება

1) რა არის ეკოლოგია? (გარემოს დაცვა, ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულება...)

ეკოლოგია გარემოსთან ცოცხალი ბუნების ურთიერთობების შემსწავლელი მეცნიერებაა.

2) რა გამოიწვია ტყის გაჩეხვამ? (მთის ფერდობების ჩამორეცხვა).

3) მოძებნეთ ტექსტში ადამიანებმა დაუფიქრებლობით როგორი ზიანი მიაყენეს ბუნებას? „ადამიანებმა დაუფიქრებლობით აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენეს დედაბუნებას. ულმობლად განადგურდა დედამიწის მცენარეული საფარი – ჟანგბადის ერთადერთი წყარო; დაბინძურდა ოკეანეები, ზღვები, ტბები, მდინარეები; ვეება საწარმოების გამონაბოლქვმა ბოლმა ლამის მზე დააბნელოს... ტელევიზია რომ ყოველდღე სტიქიური უბედურებების ამბავს გადმოსცემს, ეს იმის დასტურია, რომ ადამიანი თავისი დაუფიქრებლობის მძიმე შედეგებს იმკის.“

4) რატომ გაჩნდა მეცნიერება – ეკოლოგია?

„ადამიანი საკმაოდ გვიან მიხვდა, რომ აუცილებელი იყო იმ მიზეზების შესწავლა, რამაც თავდაპირველი წონასწორობა, ჰარმონია დაარღვია, ამიტომაც გაჩნდა მეცნიერება, რომელსაც ეკოლოგია უწოდეს.“

5) რა ყოფილა საჭირო იმისთვის, რომ მოგვარდეს ეკოლოგიური პრობლემები? (ბუნებრივი, ჰარმონიული წონასწორობის შენარჩუნება).

აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზაციის ფორმა	რესურსები	შეფასება
ფილმის პრეზენტაცია – „ეკოლოგიური საფრთხეები“	პრობლემის გამოკვეთა	5წთ	მთელ კლასთან მუშაობა	ინტერნეტი. პროექტორი, ეკრანი, ბუკი, პოსტერები	დაკვირვება

1) რის შესახებ არის ფილმი გადაღებული? (ეკოლოგიურ საფრთხეებზე)

2) რისი თქმა გვინდა ამ ფილმით? (დავიცვათ ბუნება, არ დავაბინძუროთ გარემო)

3) პოსტერების კითხვა, სადაც ლაპარაკია იმ მავნე შედეგებზე, რაც გარემოს დაბინძურებას მოსდევს.

სამოდელო გაკვეთილი

აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზაციის ფორმა	რესურსები	შეფასება
დიფერენცირებულ დავალებებზე მუშაობა	პრობლემის გადასაჭრელად დასამუშავებელი ინფორმაციის დახარისხება, გაანალიზება; პრობლემის გადაჭრის გზების მოძებნა თანამშრომლობითი უნარების განვითარება	13წთ	წყვილებში მუშაობა; ჯგუფური მუშაობა	ბარათები, ფერადი ფანქრები, ფურცლები, მარკერები	დაკვირვება

წყვილებში მუშაობა – 8 წყვილი, **ჯგუფური მოშაობა** – 3 ჯგუფი.

წყვილები და ჯგუფები ერთდროულად მუშაობენ.

წყვილებს წინასწარ ეძლევათ ნაწილებად დაყოფილი ტექსტი, რომლის მიხედვითაც სვამენ კითხვებს (ერთი მოსწავლე) და ტექსტში ეძებენ პასუხებს (მეორე მოსწავლე).

სავარაუდო კითხვები და პასუხები წყვილებში (8 წყვილი)

1) საქართველოს რომელ კუთხეზეა ტექსტში საუბარი და რით იყო დაფარული ადრე მდინარე ტანას ხეობის ფერდობები?

„ადრე ამ დაკლაკნილი ხეობის ფერდობები გაუვალი ასწლოვანი მუხის ტყით ყოფილა დაფარული.“

2) რისთვის გახდა საჭირო ხის მასალა?

„ლიანდაგების დასაგებად დიდძალი ხის მასალა გახდა საჭირო.“

3) როგორ მოიქცნენ ადამიანები?

„შეესივნენ ადამიანები ტანას ხეობის მუხნარს და, რამდენიმე წლის განმავლობაში, ჯანსაღი ხეები სულ რკინიგზის შპალებად აქციეს.“

4) ვინ დაფიქრდა მომავალზე?

„მაშინ არავინ დაფიქრდა მომავალზე.“

5) დღეს არის თუ არა იქ მუხნარი და რა მოუვიდა მთის ფერდობებს?

„დღეს ატენის სიონისკენ მიმავალი ადამიანი იმ მუხნარის კვალსაც კი ვერ შენიშნავს. მთის ფერდობები ჩამორეცხილა, წვიმა-ქარის სათარეშო გამხდარა.“

6) როგორ მოიქცნენ ადამიანები?

„ადამიანებმა, დაუფიქრებლობით, აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენეს დედაბუნებას.“

7) რა განადგურდა ულმობლად?

„ულმობლად განადგურდა დედამიწის მცენარეული საფარი – ჟანგბადის ერთადერთი წყარო.“

8) რისი დასტურია სტიქიური უბედურებები?

„ეს იმის დასტურია, რომ ადამიანი თავისი დაუფიქრებლობის მძიმე შედეგებს იმკის.“

რატომ გაჩნდა მეცნიერება – ეკოლოგია?

„ადამიანი საკმაოდ გვიან მიხვდა, რომ აუცილებელი იყო იმ მიზეზების შესწავლა, რამაც თავდაპირველი წონასწორობა, ჰარმონია დაარღვია, ამიტომაც გაჩნდა მეცნიერება, რომელსაც ეკოლოგია უწოდეს.“

კითხვა: ეს ფაქტებია თუ თვალსაზრისი? (ფაქტები)

ჯგუფური მუშაობა – 3 ჯგუფი.

1. თქვენი გამოცდილებიდან მოიფიქრეთ და დაწერეთ: რა ეკოლოგიური საფრთხეები არსებობს და როგორია მათი გადაჭრის გზები.

2. ხატვა თემაზე: „ეკოლოგიური პრობლემები ჩვენ ირგვლივ და მისი გადაწყვეტის გზები“.

3. კომიქსების შექმნა თემაზე: „გავუფრთხილდეთ გარემოს“.

C ფაზა – რეფლექსია – შეჯამება-გამთლიანება (10წთ)

აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზაციის ფორმა	რესურსები	შეფასება
ნამუშევრების პრეზენტაცია	პრობლემის გადაჭრის გზების დემონსტრირება	5წთ	ჯგუფური	მოსწავლეთა ნამუშევრები, დაფა, მაგნიტები	განმავითარებელი შეფასება

კითხვა: ეს ფაქტებია თუ თვალსაზრისი? (თვალსაზრისი)

აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზაციის ფორმა	რესურსები	შეფასება
საუბარი	დასკვნის გაკეთება – რა ვისწავლე? როგორ გამოვიყენებ ამ ცოდნას?	3წთ	კლასთან მუშაობა	ბარათები	განმავითარებელი შეფასება

დასკვნა: ვისწავლეთ, რომ უნდა გავუფრთხილდეთ ბუნებას, გავუფრთხილდეთ ჩვენ ირგვლივ არსებულ გარემოს, არ დავაბინძუროთ, ნარჩენები ჩავყაროთ ნაგვის ურნებში, არ შეიძლება ფანჯრიდან, მანქანიდან ნარჩენების გადაყრა.თუ დავინახავთ ასეთ ფაქტებს, მივუთითოთ, ვასწავლოთ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას. გავუფრთხილდეთ მცენარეებს, დავრგოთ ერთი ხე მაინც, თუ ვინმე ცეცხლს ანთებს, ნამწვს ყრის ისეთ ადგილას, რომ შეიძლება ხანძარი გაჩნდეს, მივუთითოთ და ვასწავლოთ, რატომ არ უნდა მოიქცეს ასე.

თუ გვინდა ვიყოთ ჯანმრთელი, უნდა გავუფრთხილდეთ გარემოს და სხვასაც მოვუწოდოთ ამისკენ.

აქტივობა	მიზანი	დრო
საშინაო დავალების მიცემა	შესწავლილი მასალის განმტკიცება	2წთ

საშინაო დავალება: დაწერეთ თხზულება თემაზე: „როგორ ვუფრთხილდები გარემოს“

რეკომენდაცია: გაიხსენე, როგორ უვლი გარემოს შენ ირგვლივ-სახლში, ეზოში, სკოლაში. რამე მნიშვნელოვან ფაქტს თუ ჰქონდა ადგილი ამ თემასთან დაკავშირებით. მოიყვანე მაგალითები შენი ან შენი ახლობლების გამოცდილებიდან.

გთავაზობთ გაკვეთილის მსვლელობის მოკლე მიმოხილვასა და იმ სტრატეგიებს, რომელიც დამეხმარა ამ სამოდელო გაკვეთილის წარმატებით ჩატარებაში.

გამოყენებული სტრატეგიები:

1) გაკვეთილისთვის მზადების პროცესში, წინასწარ, მშობლების დახმარებით, გადავიღეთ სამოდელო სიტუაციები ეკოლოგიური პრობლემების თემაზე, რომელსაც ყოველდღიურად ვხვდებით ჩვენ ირგვლივ.

2) ვისაუბრეთ თემაზე – ფაქტები და თვალსაზრისი, სტატია და მხატვრული ტექსტი.

3) დავარიგე პოსტერები ეკოლოგიურ თემებზე, სადაც საუბარია იმის შესახებ, რა არის ნარჩენები, რა შეხებაშია ნარჩენების უკონტროლო გადაყრა წყალთან, ჰაერთან, ნიადაგთან, რა დაავადებები შეიძლება გამოიწვიოს ნარჩენების უკონტროლო გადაყრამ და სხვა ეკოლოგიურ პრობლემებზე.

4) შევქმენი კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. შევთავაზე მათ ისეთი აქტივობები, სადაც თავისუფალი, კრიტიკული აზროვნებაა პრიორიტეტული, ვახალისებდი გამოეთქვათ და დაესაბუთებინათ მოსაზრებები, ემსჯელათ და მოეყვანათ არგუმენტები.

5) ვაძლევდი ისეთ დავალებებს, რომ თვითონ ყოფილიყვნენ სასწავლო პროცესის უშუალო თანამონაწილეები, ამიტომ ისინი იყვნენ მოტივირებულნი და ჩართული საგაკვეთილო პროცესში ისე, რომ არ ეშინოდათ აზრის გამოთქმა და კრიტიკული დამოკიდებულების გამომჟღავნება.

ჩემი მიზანი მკაფიოდ იყო ფორმულირებული, შესაბამისობაში იყო ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებთან და შედეგებთან.

დაგეგმილმა აქტივობებმა, სწავლების სტრატეგიებმა, ხელი შემიწყო დასახული მიზნის მიღწევაში.

გამოყენებული მქონდა მრავალფეროვანი რესურსები/მათ შორის ჩემი შექმნილი/, მოსწავლის შეფასების, თვითშეფასების და მასწავლებლის თვითდაკვირვების რუბრიკები, რამაც ხელი შემიწყო მოსწავლეებისთვის სათანადო უკუკავშირის მიცემაში.

მოსწავლეთა წინარე ცოდნამ და უნარ-ჩვევებმა გამიადვილა დაგეგმილი აქტივობების სათანადოდ წარმართვა, რამაც ხელი შეუწყო მასალის აღქმა-გაგებას და მიზანთან შესაბამისი შედეგის მიღწევას.

გაკვეთილის მსვლელობის მიმოხილვა

გაკვეთილი დაიგეგმა სტატიის მიხედვით – „რა არის ეკოლოგია“. თემა ძალიან აქტუალურია, ვინაიდან მოსწავლემ ამ ასაკშივე უნდა გააცნობიეროს, რა ეკოლოგიური საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს ბუნებრივი ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას; როგორი დაავადებები შეიძლება გამოიწვიოს არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელების არსებობამ, რადგან ისინი შეხებაში იმყოფებიან სამივე ტიპის ეკოსისტემასთან (ჰაერი, წყალი, ნიადაგი) და აბინძურებენ მათ.

განვიხილეთ განსხვავება სტატიასა და მხატვრულ ტექსტს შორის, ფაქტებსა და თვალსაზრისს შორის. გამოწვევის მიზნით, მოსწავლეებს გავახსენე ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოსმენილი ლექცია, სადაც საუბარი იყო თემაზე – რა შეიძლება გამოიწვიოს ბუნებაში არსებული წონასწორობის დარღვევამ, რაც პირდაპირ კავშირში იყო ჩვენს სტატიასთან. შეადგინეს ასოციაციური რუკა – „ეკოლოგიური საფრთხეები“. გამოიკვეთა პრობლემა – რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ადამიანმა გარემოს თავისი გაუფრთხილებლობით და რა გავლენას ახდენს ეს ყველაფერი თითოეულ ჩვენგანზე.

ერთ-ერთმა მოსწავლემ ფილმის პრეზენტაცია გამართა,სადაც სპეციალურად იყო შექმნილი სამოდელო სიტუაციები ეკოლოგიურ პრობლემებზე, რომელსაც ყოველდღიურად ვხვდებით. ეს დაეხმარებოდა მათ პრობლემის ნათლად დანახვაში.

მოსწავლეები დავყავი წყვილებად და ჯგუფებად. შევარჩიე ისეთი დავალებები, რომლებიც დაეხმარებოდა მათ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში.

მართლაც, მათ გააკეთეს ღირებული დასკვნა, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დასკვნა: ვისწავლეთ, რომ უნდა გავუფრთხილდეთ ბუნებას, გავუფრთხილდეთ ჩვენ ირგვლივ არსებულ გარემოს, არ დავაბინძუროთ, ნარჩენები ჩავყაროთ ნაგვის ურნებში, არ შეიძლება ფანჯრიდან, მანქანიდან ნარჩენების გადაყრა. თუ დავინახავთ ასეთ ფაქტებს, მივუთითოთ, ვასწავლოთ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას. გავუფრთხილდეთ მცენარეებს, დავრგოთ ერთი ხე მაინც, თუ ვინმე ცეცხლს ანთებს , ნამწვს ყრის ისეთ ადგილას, სადაც შეიძლება ხანძარი გაჩნდეს, მივუთითოთ და ვასწავლოთ, რატომ არ უნდა მოიქცეს ასე.

თუ გვინდა ვიყოთ ჯანმრთელი, უნდა გავუფრთხილდეთ გარემოს და სხვასაც მოვუწოდოთ ამისკენ.

მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს წინარე ცოდნა და უნარ ჩვევები: სწორი კითხვის, ტექსტის გაგების, გაანალიზების უნარები. შეუძლიათ აზრის გამოთქმა, მსჯელობა, ისინი ფლობენ ცოდნის ტრანსფერის, მათი ასაკისთვის შესაფერის უნარებს, შეუძლიათ საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაცია. ფლობენ ბუკის გამოყენების ტექნიკას.

თითოეულ აქტივობას თან ახლდა შესაბამისი კომენტარი ან განმავითარებელი შეფასება.

შესწავლილი მასალის განმტკიცებისა და შეძენილი ცოდნის გამოყენების მიზნით, მივეცი საშინაო დავალება – თხზულების დაწერა თემაზე: „როგორ ვუფრთხილდები გარემოს“.

გაკვეთილს ესწრებოდნენ დაწყებითი საფეხურის პედაგოგები. მათთან ერთად განვიხილე გაკვეთილი, მოვისმინე მათი აზრი, შეკითხვები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. დეტალურად განვუმარტე მათ გაკვეთილის წარმატებით ჩატარების გზები – სწორად დაგეგმილი, ესგ-სთან შესაბამისობაში მყოფი მიზანი, სწორად შერჩეული სწავლების სტრატეგიები, მიზანთან შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსები, კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასწავლო გარემო.

მსგავსი თანამშრომლობა კოლეგებთან მომავალი გაკვეთილების დაგეგმვაში გამოგვადგება.

* * *

აქვე გთავაზობთ ჩემ მიერ შექმნილი რესურსის – ვიდეორგოლის „ეკოლოგიური საფრთხეები“ ელექტრონულ მისამართს: https://www.youtube.com/watch?v=Cr1uSuIi6n4

ვიდეორგოლი შექმნილია მოდელირებული სიტუაციების გადაღებით, რათა ნათლად დაანახოს მოსწავლეებს, რა ეკოლოგიური პრობლემები არსებობს, რომელთა მოგვარებაც ჩვენი ძალისხმევითაა შესაძლებელი.

რესურსი მოსწავლეებს მასალის უკეთ გაგებასა და გააზრებაში ეხმარება, ზრდის მოტივაციას, სასწავლო პროცესს კი სახალისოსა და საინტერესოს ხდის.

ჩემი მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ სცენარის წერაში, ხოლო ერთ-ერთის მშობელი დამეხმარა როლის შესრულებაში. ერთად გადავწყვიტეთ, რომელი სიტუაციების მოდელირება უნდა მოგვეხდინა, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში. მასალა დალაგებულია თანმიმდევრულად, მოსწავლეებს საკითხის აღქმის, გააზრებისა და განზოგადების საშუალებას აძლევს და უბიძგებს, ცოდნა დაუკავშირონ რეალობას.

ნათია დარჩია

თბილისის №128 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მენტორი მასწავლებელი

წიგნის მუზეუმი

ეროვნული ბიბლიოთეკის საუკუნის პროექტი

მაკა ყიფიანი

17 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პირველ კორპუსში, თითქმის ორწლიანი მუშაობის შემდეგ, კავკასიაში უდიდესი და საქართველოში პირველი წიგნის მუზეუმი გაიხსნა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა როგორც ვიზუალური, ისე თვისობრივი თვალსაზრისით. წიგნის მუზეუმი ეროვნული ბიბლიოთეკის საცავში დაცულ 19 ათასზე მეტ რარიტეტულ წიგნს აერთიანებს. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი იშვიათ გამოცემათა ფონდის მესაკუთრეა, რომელიც ბეჭდური წიგნის და მათ შორის, ქართული ნაბეჭდი გამოცემების ისტორიას ქმნის. მუზეუმში ყველა ის უნიკალური გამოცემა გამოიფინება, რომელიც იშვიათ გამოცემათა ფონდშია დაცული. წიგნის მუზეუმში წარმოდგენილი იქნება როგორც მუდმივი ექსპოზიციები, ასევე თემატური გამოფენები, კერძო კოლექციებში დაცული თუ ბიბლიოთეკის საცავში შენახული უნიკალური ნაბეჭდი წიგნები. ასევე, დამთვალიერებელს საშუალება ექნება, ყველა უძველესი წიგნი ციფრულ ფორმატში, სენსორულ ეკრანებზე იხილოს. წიგნის მუზეუმი, ბოლო ათწლეულების, ყველაზე მასშტაბური პროექტია ამ სფეროში. ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის, **გიორგი კეკელიძის** განცხადებით, „წიგნის მუზეუმი“ საუკუნის პროექტია, აქ განთავსდება ეროვნული ბიბლიოთეკის საგანძური, რომელიც ათეული წლებია, დახურულ ფონდში ინახება და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა.

იშვიათი გამოფენებისთვის თანამედროვე საცავისა და მუზეუმის მოწყობა „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის“ მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.



წიგნის მუზეუმში შესასვლელი სივრცე, თავის დროზე, პოლონელი მხატვრის, ჰენრიხ ჭრინევსკის მიერაა მოხატული, რომლის რესტავრაციაზე და მასზე პოლონელი სპეციალისტები მუშაობენ. სპეციალურად აღდგენილ ძველ და რარიტეტულ კარს შეაღებ თუ არა, პირველად „ვეფხისტყაოსნის“ მუზეუმში ხვდები, სადაც წარმოდგენილია 1884 წელს, გიორგი ქართველიშვილის დაფინანსებით, შექმნილი „ვეფხისტყაოსანი“ და ყველა ის გამოცემა, რომელიც ამ პერიოდში გამოსულა ქართულ ენაზე, ასევე უცხოური თარგმანები; ილია ჭავჭავაძის დარბაზი – ექსპოზიცია, სადაც სხვა საინტერესო მასალების გვერდით, ის წიგნები და ნივთებია, რომლებიც მისმა ოჯახმა ეროვნულ ბიბლიოთეკას დაუტოვა. მუზეუმში წარმოდგენილია დავით კაკაბაძის ავანგარდული ნამუშევარი, სახელწოდებით – „ტერენტი გრანელი“, რომელიც ტერენტი გრანელის თხოვნით შექმნილა.

მუზეუმში განთავსებულია ფორმით, შინაარსითა და სიძველით მნიშვნელოვანი წიგნები. მათი უმეტესობა უკიდურესად ფასეულია ჩვენი კულტურული იდენტობისთვის. საინტერესოა მინიატურული წიგნების კოლექცია და უნიკალური, უძველესი გამოცემები: იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“, 1629 წელს რომში გამოცემული პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, ქართულ-იტალიური ლექსიკონი; მაჯიო ფრანცისკო-მარიას მიერ, 1670 წელს, გამოცემული „ქართული ენის გრამატიკა“; არჩილ მეფის მიერ, 1705 წელს, მოსკოვში, სინოდის სტამბაში დაარსებულ ქართულ წიგნსაბეჭდში დაბეჭდილი „დავითნი“, რომლის ტირაჟიდან 3-4 ეგზემპლარია შემორჩენილი; პირველნაბეჭდი ქართული გამოცემა სახელმწიფოს, სამთავროსა და ოჯახის მართვის შესახებ – ბასილიოს მაკედონელი. ტესტამენტი, რომელიც 1739 წელს, მოსკოვში დაიბეჭდა; თბილისში, ვახტანგ VI-ის სტამბაში, 1709 წელს გამოცემული „სახარება“, რომელიც ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოში დაბეჭდილი, ერთ-ერთი პირველი წიგნი; ასევე, 1710 წელს ვახტანგის სტამბაში გამოცემული „კონდაკი“; ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნები – 1712 წლის, „ვეფხისტყაოსანი“, ერეკლეს სტამბის წიგნები; იმერეთში, საჩხერის სოფელ წესში გამოცემული, პირველი ქართული მინიატურული წიგნი „ღვთისმშობლის სავედრებელი“; რუსეთში, ათანასე ამილახვრის სტამბის გამოცემები და მრავალი სხვ. „წიგნის მუზეუმი“ მართლაც უმნიშვნელოვანესი საჩუქარია ყველა ქართველისთვის.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის „წიგნის მუზეუმი“ მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. მუზეუმში შესვლა ეროვნული ბიბლიოთეკის მკითხველის ბილეთითაა შესაძლებელი. მუზეუმის გახსნა, გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღეს, მის ერთ ოცნებას დაემთხვა.

„რა დიდებული გამოფენაა, რა ძვირფასი, რა საყვარელი, იშვიათზე-იშვიათი. უკვდავზე-უკვდავი მასალებით სავსე, სასახელო დიდათ სასახელო!

უფრო შესანიშნავი იქნება – თუ ამ გამოფენით საძირკველი ჩაეყრება დიდ საქმეს „მუდმივ გამოფენას“ – თბილისშივე, რა თქმა უნდა.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, გამარჯვებას. ძალიან, ძალიან გაგვახარებთ ყველას, თუ ეს წამოწყება შესაფერისად დაგვირგვინდება. გაუმარჯოს „მუდმივი გამოფენის იდეას!“ – 1952 წელი, 31 მარტი. გალაკტიონ ტაბიძე, საქართველოს სახალხო პოეტი.

ეს სიტყვები, თავის დროზე, გალაკტიონმა ერთჯერად გამოფენაზე დაწერა და ეს ერთგვარი სურვილი, ოცნება იყო, რომელიც მას შემდეგ ბიბლიოთეკის ყველა ხელმძღვანელს, ყველა იმ ადამიანს ჰქონდა, ვინც დაინტერესებული იყო „წიგნის მუზეუმის“ დაარსებით.

გიორგი კეკელიძე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი: *„წლების წინ, როცა ხელი მოვკიდეთ ამ საქმეს, ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა და აი, ვულოცავ საქართველოს! გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღეს მისი წლების წინ ნაოცნებარი ახდა! წიგნის მუზეუმი ბოლო ათწლეულების ყველაზე მასშტაბური პროექტია ამ სფეროში. მუზეუმი კავკასიაში უდიდესი და ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა როგორც ვიზუალური, ისე თვისობრივი თვალსაზრისით. ეს არის ქვეყანაში დაცული ძვირფასი წიგნების პირველი მუდმივმოქმედი გამოფენა, რომელიც ოთხ ნაწილადაა წარმოდგენილი: 1) საკუთრივ იშვიათი გამოცემების მუზეუმი, სადაც სიძველით და ფორმით გამორჩეული წიგნებია წარმოდგენილი – მაგალითად; ქართულ-იტალიური ლექსიკონი (1629), ვახტანგის სტამბის გამოცემები, ინკუნაბულა (აკვანი) და სხვ; 2) ვეფხისტყაოსნის მუზეუმი – წარმოდგენილია ყველა გამოცემა ქართულ და უცხოურ ენებზე; 3) ილიას დარბაზი – ილია ჭავჭავაძის კაბინეტის ექსპოზიცია, მისი პირადი ნივთებითა და ბიბლიოთეკით; 4) ბროსეს საცავი – ულტრათანამედროვე, შესაბამისი კლიმატ-კონტროლის აპარატურით. მუზეუმში დაცულია წიგნები, რომლებიც ფორმით, შინაარსით, კონტექსტით გამორჩეულია და შესაბამისად, ამ წიგნების მდგომარეობიდან გამომდინარე, მომხმარებელი მათ ვერ შეეხება. ამიტომ, ეს იქნება საგამოფენო მუდმივმოქმედი სივრცე. ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, ეს მართლაც ისტორიული დღეა, იმიტომ რომ, ეროვნული ბიბლიოთეკა რეალურად ახალ ცხოვრებას იწყებს, მათ შორის ის წიგნებიც, რომლებიც წლების განმავლობაში ჩაკეტილი იყო და ინახებოდა სპეციალურ საცავში, ახალ და გამორჩეულ ცხოვრებას იწყებენ.*

ჩვენ ლეგენდარულ და ისტორიულ შენობაში ვიმყოფებით და, ამავდროულად, გვაქვს ამბიცია და სურვილი იმისა, რომ ვიწყებთ ასევე ისტორიულ და ლეგენდარულ საქმეს. საქმეს, რომელსაც სიმბოლურად დაერქვა „წიგნის მუზეუმი“ და რომელიც გულისხმობს ჩვენი ეროვნული იდენტობის და სახელმწიფოებრივი მეხსიერების ერთგვარ თავმოყრას იმ სივრცეში, რომელსაც წიგნის მუზეუმში წარმოგიდგენთ. ეს სივრცე თითქმის ყველა ქართულ ბეჭდურ წიგნს ინახავს და ჩვენ სწორედ ამ წიგნების „ტექსტების ჯამი“ ვართ, ადამიანები, რომლებიც აქ შევიკრიბეთ, ადამიანები, რომლებიც ხვალ, ზეგ და მაზეგ დაათვალიერებენ ამ სივრცეს. ის ადამიანები, რომლებიც არ არიან ამ წიგნებთან ორგანულად დაკავშირებული (ვგულისხმობ უცხოეთის მოქალაქეებს), ძალიან იოლად შეიტყობენ, რა მდიდარი კულტურული საგანძური აქვს ჩვენს ქვეყანას, რას გულისხმობს ჩვენი მწერლობა და არა მხოლოდ მწერლობა, რამ მოგვიყვანა აქამდე.

მესმის, რომ ჩემი სიტყვები ახლა ცოტა პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ მსგავსი საღამო-

წიგნის მუზეუმი

ები პათეტიკის გარეშე წარმოუდგენელია. ვფიქრობ, ეს დღე, რომელიც ბევრ სიმბოლურ დატვირთვას გულისხმობს, ნამდვილად შემორჩება ისტორიას. პირველი, ვინც წიგნის მუზეუმზე ისაუბრა, ეს იყო გალაკტიონი. გალაკტიონ ტაბიძემ გააკეთა ჩანაწერი, 1958 წლის 31 მარტს, ერთ-ერთ ერთჯერად გამოფენაზე. ჩანაწერიდან ჩანს, რომ გალაკტიონი ოცნებობდა, ოდესმე გახსნილიყო მუდმივმოქმედი საგამოფენო სივრცე, რომელიც თავს მოუყრიდა მთელ იმ საგანძურს, რომელიც დღეს წიგნის მუზეუმში წარმოვადგინეთ. მისი ეს ოცნება დღეს, 17 ნოემბერს, მის დაბადების დღეზე ახდა.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, წიგნმცოდნეს, იშვიათგამოცემათა განყოფილების თანამშრომლებს, დიზაინერებს, მუშებს, რომლებიც ქმნიდნენ ამ სივრცეს. ეს არ იყო ადვილი პროცესი, წელიწადზე მეტი ხნის თავაუღებელ მუშაობას გულისხმობდა, რომელმაც ასეთი შედეგი მოგვიტანა; მინდა დიდი მადლობა ვუთხრა, დაფინანსებისთვის, დავით ბეჟუაშვილის ფონდს, მისი მონაგები იქნება განათლებული მომავალი თაობა და ვფიქრობ, ამაზე უკეთესი ინვესტიცია არ არსებობს; დიდი მადლობა სახელმწიფოს წარმომადგენლებს, კულტურის მინისტრს, მიხეილ გიორგაძესა და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს, მარიამ ჯაშს, რომლებიც აქტიურად გვეხმარებიან; დიდი მადლობა სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით აშშ-ს, იტალიისა და პოლონეთის ელჩებს; დიდი მადლობა ბიბლიოთეკის ყველა იმ დირექტორს, ვინც ჩემამდე ხელმძღვანელობდა ამ სივრცეს და შექმნა დღევანდელი დღის წინაპირობა; დიდი მადლობა ყველა ჩემს თანამშრომელს, რომელთა მეშვებითაც, ერთი მხრივ, შეიქმნა ეს სივრცე და მეორე მხრივ, ბუნებრივია, მომავალშიც განვითარდება.

„წიგნის მუზეუმი“ ჩვენი წარსულის გასახსენებლად შევქმენით იმისთვის, რომ ეს წარსული კარგი მაგალითი იყოს მომავალი თაობებისთვის. ეს არ არის მუზეუმი მუზეუმისთვის, „წიგნის მუზეუმი“ „განწირულია“ სიცოცხლისთვის და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მისი სიცოცხლის მამოძრავებელი ძალა იქნებით თქვენ – მომავალი თაობა“.

მიხეილ გიორგაძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი: „დარწმუნებული ვარ, ამ მუზეუმს არა მხოლოდ დამთვალიერებელი არ მოაკლდება, არამედ ის გახდება შეკრების ადგილი წიგნის მოყვარულებისთვის, ახალგაზრდებისთვის, მკვლევრებისთვის, ჩვენი ფართო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის.

ყველას ვუსურვებ დღევანდელ დღეს. ნახევარი საუკუნის შემდეგ ასრულდა გალაკტიონის ოცნება და ეროვნულ ბიბლიოთეკაში 19 000-ზე მეტი უიშვიათესი, უძვირფასესი გამოცემა დღის სინათლეს იხილავს.

ასეთი დონის, მასშტაბის, ხარისხის, მნიშვნელობის პროექტების განხორციელება შესაძლებელია, როდესაც სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის სწორი მოდელი მოიძებნება. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ დავითს და მის ფონდს, ასევე ყველა მხარდამჭერს – აშშ-ს, იტალიისა და პოლონეთის საელჩოებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ შესანიშნავი პროექტის განხორციელებაში“.

დავით ბეჟუაშვილი, „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის“ დამფუძნებელი: „ჩვენს ფონდს ერგო ძალიან დიდი პატივი, ეთანამშრომლა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გიორგი კეკელიძეს. იმას, რაც ჩვენ, პრაქტიკულად, ტექნიკურად გავაკეთეთ, გიორგიმ და მისმა გუნდმა ძალიან დიდი შინაარსი მიანიჭა, რაც ძალიან დასაფასებელია. დიდი მადლობა ბიბლიოთეკის ყველა თანამეშრომლს იმისთვის, რომ დღემდე მოგვიტანეს ის უძვირფასესი განძი, რომელიც წიგნის მუზეუმში დაიდებს ბინას“.

მარიამ ჯაში, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე: „დღეს მართლაც ისტორიული დღეა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, ვინც საუკუნეების მანძილზე დღემდე შემოგვინახეს ისტორია, ჩვენი უდიდესი ეროვნული განძი. მათ არანაკლები დამსახურება მიუძღვით საქართველოს გადარჩენაში, ბევრ მათგანს ხმლით უწევდა ჩვენი ქვეყნის დაცვა. ეროვნული საგანძურის მცველები, დღეს, საბედნიეროდ, ბევრი გვყავს საჯარო ბიბლიოთეკაში. უახლესი წარსული რომ გავიხსენოთ, როდესაც თბილისში, სამწუხაროდ, სამოქალაქო დაპირისპირება მიმდინარეობდა, იმ პერიოდშიც კი საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა სათუთად, განსაკუთრებული სიყვარულით და თავდადებით შემოინახეს ჩვენი უნიკალური ექსპონატები, ხელნაწერები. დიდი მადლობა ამ ურთულესი გზის გამოვლისთვის. განსაკუთრებული მადლობა გიორგის და მის თანამოაზრეებს, ამ უდიდესი საქმის ინიცირებისთვის და ბოლომდე მიყვანისთვის; ასევე დიდი მადლობა ბატონ დავით ბეჟუაშვილს, ეს საქმე ნამდვილად დარჩება თაობებს მისი სახელით.

ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ უფრო მეტი დაფასება ჰქონდეთ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც იცავენ ეროვნულ საგანძურს. სურვილი მაქვს, კიდევ უფრო გაძლიერდეს ეროვნული ბიბლიოთეკის განსაკუთრებული როლი და კანონის დონეზე, ეროვნულ ბიბლიოთეკას საბიბლიოთეკო საქმის მართვის მთავარი მეთოდური ოფისის სტატუსი მივანიჭოთ, რადგან ასეთი გამოცდილება, რაც ამ შენობაშია დაგროვილი (განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, გიორგი კეკელიძის ხელმძღვანელობის დროს), უნიკალურია და ჩვენ ეს უნდა გადავცეთ ყველა მუნიციპალიტეტში არსებულ ბიბლიოთეკებს“.

ლაშა ბაქრაძე, ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი: „ვფიქრობ, წიგნის მუზეუმი მნიშვნელოვანი ადგილი იქნება იმ ადამიანებისთვის, ვისაც უყვარს წიგნი და საერთოდ კულტურა, განსაკუთრებით იმ დიგიტალურ ეპოქაში, რომელშიც ჩვენ გადავდივართ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში რომ არის ასეთი ადგილი, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, ხარისხობრივად საინტერესოდაა გაკეთებული და ვფიქრობ, ბევრი ადამიანის საყვარელი ადგილი გახდება. ის, რომ მუზეუმმა ადამიანებს წიგნისადმი ინტერესი გაუღვიძოს, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია და, ამ მხრივ, თავის როლს ეს მუზეუმი უდავოდ ითამაშებს. აქედან გამოსული ადამიანი ჩემი აზრით, წიგნსაც უფრო სიამოვნებით მოკიდებს ხელს, შეიძლება უფრო მეტი ინტერესი გაუჩნდეს, ვიდრე მხოლოდ და მხოლოდ ინტერნეტში კითხვისას“.

ლევან ბერძენიშვილი, ფილოლოგი, პოლიტიკოსი: „ეროვნულ ბიბლიოთეკაში ყოველთვის იყო და არის რარიტეტის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა **ფერიდე კვაჭანტირაძე.** წიგნის მუზეუმის დაარსება, მისი იდეა იყო წლების წინ, მაგრამ აბსოლუტურად განუხორციელებელი. იმიტომ, რომ წიგნის მუზეუმი გულისხმობს ძალიან სერიოზულ ცვლილებებს, სერიოზულ ფინანსურ დახმარებას. მაშინ ეს შეუძლებელი იყო, როცა სახელმწიფო ერთ წიგნსაც ვერ ყიდულობდა, ხელფასი პრობლემა იყო და სხვ. ახალი ხელმძღვანელობის პერიოდში, ჩვენს დროში, ეს იდეა განხორციელდა და ეს მართლაც დასაფასებელია და მნიშვნელოვანი. სასიხარულოა, რომ იდეის განხორციელებას დავით ბეჟუაშვილის ფონდი დაეხმარა. ვინც „წიგნის მუზეუმში“ მოვა, ნახავს, რამდენად მნიშვნელოვანია ქართული წიგნი, რა სიძველეა, რა პატივისცემას იმსახურებს. წიგნის მუზეუმი ძალიან სერიოზული წინ გადაგმული ნაბიჯია წიგნიერების გადარჩენის გზაზე“.

ლევან ბრეგაძე, კრიტიკოსი, ჟურნალისტი: „მოხარული ვარ, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში წიგნის მუზეუმი გაიხსნა. ადამიანს ადვილად უნდა მიესვლებოდეს ძველ წიგნებთან. წიგნი ადამიანს აბედნიერებს. მუზეუმი ნებისმიერი დამთვალიერებლისთვის ღია იქნება, აქ ვნახავთ არაჩვეულებრივად შესრულებულ ძველ ქართულ ხელნაწერებს, პოლიგრაფიის შედევრებს, ყველა იქ წარმოდგენილი წიგნი ხელოვნების ნიმუშია. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული წიგნი დიდ კონკურენციას უწევს ბეჭდურ წიგნებს, დამერწმუნეთ, რაც დრო გავა, მეტი ფასი დაედება ნაბეჭდ და ხელნაწერ წიგნს. ტრადიციული წიგნის ფასი დღითი დღე იზრდება. 21-ე საუკუნეში წიგნის მუზეუმი სახვითი ხელოვნების შედევრთა მუზეუმებს და ამ რანგის კულტურულ დაწესებულებებს უტოლდება. დღეს მართლაც ისტორიული დღეა“.

ახალი პროექტი

ენდე შედეგს Certus

✓ *კომპეტენციის დადასტურების საუკეთესო შესაძლებლობა ნებისმიერი მსურველისათვის.*

✓ *კანდიდატთა შერჩევის მეთოდოლოგიურად გამართული, კომპლექსური სერვისი კომპანიებისათვის.*

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ახალ პროექტს იწყებს სახელწოდებით **Certus.** პროექტი, ერთი მხრივ, ორგანიზაციების (კერძო კომპანიები, უმაღლესი სასწავლებლები და ა. შ.) მოთხოვნებისა და, მეორე მხრივ, ამ სექტორში საქმიანობისა თუ სწავლის გაგრძელების მსურველთა საჭიროებების გათვალისწინებით შეიქმნა.

გრძელვადიან პერსპექტივაში პროექტი **Certus** კანდიდატთა შერჩევისა თუ კომპეტენციების დადასტურების სრული, კომპლექსური და მეთოდოლოგიურად გამართული სერვისის დანერგვას და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემას ითვალისწინებს.

ეს წამოწყება ნებისმიერი მსურველისათვის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი საშუალება იქნება. მონაწილეს საკვანძო კომპეტენციების დადასტურება მისთვის ხელსაყრელ დროს შეეძლება, მიღებული სერტიფიკატის წარდგენას კი, პოტენციურ დამსაქმებელთან ან უმაღლეს სასწავლებელში შეძლებს.

Certus-ის დანერგვის პირველი, საწყისი ეტაპი სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველებსაც დააინტერესებთ – კანდიდატები ინგლისური ენის ცოდნის დონის დადასტურებას და შესაბამისი დოკუმენტის სასწავლებელში წარდგენას უახლოეს მომავალში შეძლებენ. მსურველთა რეგისტრაცია **5 დეკემბრიდან** დაიწყება ცენტრის ვებგვერდზე **www.naec.gov.ge**

მომდევნო თვეების განმავლობაში ცენტრი, ინდივიდუალურ თუ კორპორატიულ მონაწილეებს, შესთავაზებს შემდეგი კომპეტენციების დამადასტურებელ ტესტირებებს:

- უცხოური ენის (გერმანული, რუსული, ფრანგული) ცოდნა;
- საოფისე პროგრამების ცოდნა;
- ძირითადი სააზროვნო უნარები;
- ქართული ენის ცოდნა და ფუნქციური წერა;
- საკანცელარიო უნარები;
- ემოციური და პრაქტიკული ინტელექტის შეფასება.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა პროექტის პრეზენტაცია ათეულობით ორგანიზაციისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის 17 ნოემბერს გამართა. **Certus-ის** ფარგლებში გაცემულ სერტიფიკატს ნდობა უკვე გამოუცხადეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ილიაუნიმ, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, სდასუმ, ასევე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა; კომპანიებმა: პე-ეს-პე, ჯიპიაი ჰოლდინგი, ირაო, რედისონი, ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი, ვითიბი ბანკი. ამ ეტაპზე პროექტში ჩართვით დაინტერესებულია კიდევ 20-მდე ორგანიზაცია.

მშობელთა კრება

აგრესიული ქცევის მართვა ბავშვებში

ტერმინი „აგრესია“ აერთიანებს ქცევათა მრავალფეროვან ჯგუფს, რომელიც სხვისთვის ან საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენებისკენაა მიმართული. აგრესიული ქცევა მრავალგვარია და ის შეიძლება გამოხატული იყოს როგორც მსუბუქი (მაგ, ხმამაღლა საუბარი), ასევე უკიდურესად მწვავე ფორმით (დანით ან სხვა სახის იარაღით ზიანის მიყენება). აგრესიულ ქცევას მიეკუთვნება შემდეგი მოქმედებები: საკუთარი თავის ან სხვების (თანატოლები, უფროსები, ოჯახის წევრები და სხვ.) დაზიანება (ხელის ან ფეხის ჩარტყმით, ნივთების სროლით), ვერბალური მუქარა, ჟესტური მუქარა, ტანტრუმი (ალბათ, შესწრებიხართ სიტუაციას, როდესაც ბავშვი ტირის, ყვირის, კივის, ძირს წვება, ფეხებს აბაკუნებს... ამ მდგომარეობას ეწოდება ტანტრუმი), ასევე სხვების ან საკუთარი ნივთების დაზიანება. სხვადასხვა სახის აგრესიული ქცევა უფრო მეტად ვლინდება განვითარებისა და ინტელექტუალური დარღვევების მქონე ბავშვებში. თუმცა, ის ტიპური განვითარების მქონე ბავშვებშიც გვხვდება. კვლევების მიხედვით, აგრესიული ქცევა უფრო მეტად ვლინდება ვაჟებში, ვიდრე გოგონებში. აგრესიული ქცევის გამოვლენა ასაკის მატებასთან ერთად მცირდება, თუმცა კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ აგრესიული ქცევა სტაბილური სახით ვლინდება მოზრდილობაშიც.

– რა საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ბავშვის აგრესიული ქცევა, თუ არ მოხდება ასეთი ქცევის ეფექტური მართვა?

– აგრესიული ქცევა საფრთხის შემცველია როგორც იმ პირისათვის, ვინც ასეთ ქცევას ახორციელებს, ასევე გარშემომყოფთათვისაც. გამოვლენილი აგრესიული ქცევის გამო, ბავშვის სტიგმატიზაცია და სოციალური იზოლაცია ხდება. ხშირად ფერხდება მისი სასწავლო პროცესში ჩართვა, რადგან სკოლა ვერ უმკლავდება ან არ არის მზად, ეფექტურად მართოს მოსწავლის აგრესიული ქცევა. როდესაც სკოლა უარს ამბობს აგრესიული ქცევის მქონე ბავშვის მიღებაზე, ამით ზარალდება თავად ბავშვი. ხშირად თანატოლები თავს არიდებენ აგრესიული ქცევის მქონე ბავშვთან კომუნიკაციასა და სოციალურ ურთიერთობას, საბოლოოდ კი, ეს ყველაფერი ბავშვის საზოგადოებასთან ინტეგრაციაზე უარყოფითად აისახება.

ბავშვი, შესაძლოა, ავლენდეს თვითდამაზიანებელ ქცევებს. ასეთ შემთხვევაში, ერთი მხრივ, არსებობს რისკი, რომ ის საფრთხეს შეუქმნის საკუთარ ჯანმრთელობას. მეორე მხრივ, ბავშვის მიერ გამოვლენილი აგრესიული ქცევა საზიანოა გარშემომყოფთათვისაც. ისინი ფიზიკური თუ ემოციური ზიანის მიყენების საფრთხის ქვეშ იმყოფებიან.

იმისათვის, რომ თავიდან ავირიდოთ სირთულეები, რაც აგრესიული ქცევის გამოვლენას მოჰყვება, მნიშვნელოვანია შესაბამისი თერაპიის განხორციელება. კვლევების მიხედვით, თერაპიის ადრეულ ეტაპზე დაწყება და ჩარევის მაღალი ინტენსიობა განსაზღვრავს მის ეფექტურობას.

– როგორია კვლევის შედეგები, ამ მიმართულებით, ჩვენთან და დასავლეთში?

– აგრესიული ტიპის ქცევების მართვა დიდი ხანია კვლევის საგანს წარმოადგენს. ლიტერატურა აღწერს ისეთ მიდგომებს, როგორიცაა: მედიკამენტოზური მკურნალობა, ფსიქოკონსულტირება, ფსიქოთერაპია, სენსორულ ინტეგრაციაზე დაფუძნებული თერაპია. თუმცა, აგრესიული ქცევის მართვისას გამოყენებული მიდგომების ეფექტურობაზე ყველაზე დიდი მტკიცებულება მოიპოვა ქცევითმა თერაპიამ, რომელიც ეფუძნება ფსიქოლოგიურ მიმდინარეობას – ქცევის გამოყენებით ანალიზს.

ქცევის გამოყენებითი ანალიზი არის მეცნიერება, რომელიც დასწავლის პრინციპების საფუძველზე შეიქმნა და შეისწავლის გარემოში არსებულ იმ ფაქტორებს, რომლებიც ადამიანების ქცევის ჩამოყალიბებას განაპირობებს. ქცევის გამოყენებითი ანალიზის მთავარი მიზანია, გააუმჯობესოს ადამიანების ცხოვრების ხარისხი და ხელი შეუწყოს მათ კეთილდღეობას. ქცევის გამოყენებითი ანალიზით ხდება როგორც სოციალურად მისაღები ქცევების სწავლება, ასევე კოგნიტური, სოციალური და კომუნიკაციური უნარების გაუმჯობესება, თვითკონტროლის, ბრაზის მართვის სტრატეგიების, რელაქსაციის სწავლება, ამა თუ იმ ტიპის პრობლემების გადაჭრა და სხვ.

ქცევის გამოყენებითი ანალიზის მიხედვით, აგრესიული ქცევა, ისევე როგორც ქცევის სხვა სახეები, დასწავლის შედეგია, მათ გამოვლენასა და ფორმირებაში რამდენიმე ფაქტორი მონაწილეობს. ასეთი ფაქტორები შესაძლოა იყოს ქცევის წინმსწრები რაიმე მოვლენა ან ქცევის თანმდევი შედეგი. მაგ., ბავშვის აგრესიული ქცევის პროვოცირება შესაძლოა მოახდინოს უფროსის საყვედურმა ან უარყოფითმა რეპლიკამ. უარყოფით რეპლიკაზე ბავშვის რეაქცია შესაძლოა იყოს ბრაზის ემოცია და გამოვლინდეს ამა თუ იმ აგრესიული ქცევის ფორმით. ასეთ შემთხვევაში, ჩარევის სტრატეგია მისთვის ბრაზის მართვის ტექნიკის სწავლება იქნება.

რაც შეეხება შედეგებით ფორმირებულ აგრესიულ ქცევას, წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია: ბავშვი ითხოვს სასურველ ნივთს, თუ ვერ მიიღებს, გადადის სიტყვიერ მუქარაზე. თუ ამანაც არ გაჭრა, შემდეგ იწყებს მშობელზე ხელის გარტყმას, რის შემდეგაც მშობელი ნებდება. შესაძლოა, ამ დროს ისინი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას იმყოფებოდნენ და, უხერხული სიტუაციის თავიდან ასარიდებლად, მშობელმა მისცეს ბავშვს ის ნივთი, რასაც აგრესიული ქცევით ითხოვდა. თუ ამგვარი ქცევა (ხელის გარტყმა) ბავშვს სასურველი ნივთის მიღებაში ეხმარება, ბუნებრივია, ყოველთვის გამოიყენებს. ხშირად, სახლის გარემოში, მშობლები ცდილობენ აგრესიული ქცევის ამა თუ იმ ფორმის გამოვლენის დროს, ბავშვს არ დაუკმაყოფილონ ის სურვილი, რის მიღებასაც ამ ქცევით ცდილობს, რის შემდეგაც ბავშვის ქცევა უფრო მეტად მწვავდება და შეიძლება უკიდურესად სახიფათო გახდეს გარშემომყოფთათვის. შესაძლო რისკის თავიდან ასაცილებლად, მშობლები ნებდებიან და ამით, უნებურად, ბავშვის აგრესიის უფრო მწვავე ფორმის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ.

მრავალწლიანი კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ აგრესიული ქცევის შედეგები, რომლებიც ამ ქცევის შენარჩუნებას უწყობს ხელს, შეიძლება სხვადასხვა იყოს:

ყურადღება – აგრესიული ტიპის ქცევას ბუნებრივია უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ, მაგალითად, როდესაც ბავშვი თანატოლს ურტყამს ან ემუქრება. ასევე უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ სხვა რისკის შემცველ მოქმედებას და, ჩვენდა უნებურად, გვიწევს ასეთ ქცევაზე ყურადღების გამახვილება, რაც სხვადასხვა სახით შეიძლება გამოვლინდეს, მაგ., საყვედური ან ხვეწნა, შეწყვიტოს აგრესიული ქცევა, ხელით შეკავება, რაიმე მითითების მიცემა, სახის გამომეტყველება (ბავშვზე მიმართული), თვალებით კონტაქტის დამყარება და სხვ.

სასურველ ნივთზე ან აქტივობაზე ხელმისაწვდომობა – ხშირად ბავშვები აგრესიულ ქცევას რაიმე ნივთის მისაღებად ან სასურველი აქტივობის დასაწყებად მიმართავენ. მაგ., ბავშვს უკრძალავენ კომპიუტერთან თამაშს, რის შემდეგაც ის მშობლებს ემუქრება სახლში არსებული ძვირადღირებული ნივთების დამტვრევით. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, მშობლები შესაძლოა დანებდნენ და მისცენ მას კომპიუტერით თამაშის ნება.

არასასურველი აქტივობის არიდება ან თავიდან მოშორება – აგრესიული ქცევით, შესაძლოა, ბავშვმა მისთვის არასასურველი აქტივობები აირიდოს თავიდან. მაგ., თუ დავალების შესრულება მის ძალებს აღემატება ან მისთვის უინტერესო და მოსაწყენია, ბუნებრივია ყველა ხერხს მიმართავს, რომ ამ დავალების შესრულებას თავი აარიდოს. თუ ბავშვი სიტყვიერად, სოციალურად მისაღები ფორმით ითხოვს დავალების შეწყვეტას და მას სურვილს არ უკმაყოფილებენ, სხვა სტრატეგიას ცდის, რაც შეიძლება აგრესიული ქცევა იყოს. სკოლაში აგრესიული ქცევის ამა თუ იმ ფორმის გამოლენის შემთხვევაში, მასწავლებლები, ხშირად, საკლასო ოთახიდან უშვებენ ბავშვს, რის შედეგადაც იგი ხვდება, როგორ დააღწიოს თავი მისთვის უსიამოვნო საგაკვეთილო პროცესს.

არასასურველი შეგრძნებების არიდება – ხშირად აგრესიული ქცევა არასასურველი შეგრძნებების თავიდან არიდებას ემსახურება. მაგ., განვითარების დარღვევების დროს, ყვირილით ბავშვი, შესაძლოა, ირიდებდეს ხმაურს, ხელის თავში ჩარტყმით კი – უსიამოვნო ფიზიკურ შეგრძნებებს.

თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში, რამდენიმე წელია, გაიხსნა შესაბამისი პროფილის ცენტრები, სადაც ქცევით სირთულეებზე მუშაობა მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომით, ქცევითი თერაპიით მიმდინარეობს.

– რამდენად ეფექტურია ბავშვის აგრესიული ქცევის მართვა დასჯით ან სხვა ძალისმიერი მეთოდებით?

– ქცევის გამოყენებითი ანალიზი არ ემხრობა აგრესიული ქცევის მართვას დასჯის მეთოდების გამოყენებით. დასჯა, რომელიც გულისხმობს ბავშვისთვის ფიზიკური ან ემოციური ზიანის მიყენებას, არაეთიკურია. ქცევითი თერაპია კატეგორიულად უარყოფს ამგვარი მეთოდების გამოყენებას. ამასთან, დასჯა არ ასწავლის ბავშვს სოციალურად მისაღებ ქცევას, პირიქით, იწვევს საპასუხო უარყოფით რეაქციას, რაც ისევ აგრესიული ქცევის სახით შეიძლება გამოვლინდეს. ჩარევის მიზანი უნდა იყოს არა აგრესიულ ქცევაზე დამსჯელი პასუხი, არამედ მისი ჩანაცვლება სოციალურად მისაღები ქცევით.

– როგორი ფორმით და რა გარემოში უნდა ხდებოდეს ბავშვის აგრესიული ქცევის მართვა?

– პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, ვინ ახორციელებს ჩარევას, რამდენად გამოცდილია თერაპევტი და რამდენად ეთიკურია მის მიერ გამოყენებული ჩარევის სტრატეგიები?! ქცევის გამოყენებითი ანალიზი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეთიკური ნორმების დაცვას და უარყოფს ისეთი ტიპის ჩარევას, რომელიც ბავშვისა თუ მისი ოჯახის ღირსებას შელახავს. ჩარევის დაწყებამდე, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: რამდენად მისაღებია ბავშვისა თუ მისი ოჯახისთვის გამოყენებული ჩარევის სტრატეგიები. რამდენად აკმაყოფილებთ მათ მიღწეული შედეგები. თერაპიული გარემო აუცილებლად უნდა იყოს ბავშვის მიმართ კეთილგანწყობილი და მის საჭიროებებზე მორგებული, ასევე განმამტკიცებლებით (ბავშვის საყვარელი ნივთები და აქტივობები) გაჯერებული. ქცევის აგრესიული ფორმების მწვავე ბუნებიდან გამომდინარე, ხშირად, ჩარევა იწყება კლინიკაში ან შესაბამისი პროფილის ცენტრში, ქცევითი თერაპევტების მიერ, რადგანაც ქცევით თერაპევტებს აქვთ მიღებული შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, ცენტრის გარემოც შესაბამისადაა მოწყობილი. შემდეგ კი ხდება მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრებისთვის, ან პედაგოგებისთვის ქცევის მართვის ტექნიკის სწავლება. არის შემთხვევები, როდესაც ჩარევა ისეთ გარემოში იწყება, სადაც ქცევა რეალურად ვლინდება, მაგ., სკოლა ან სახლი, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ჩარევის პროცესს კვალიფიციური ქცევის მართვის სპეციალისტი უნდა უწევდეს სუპერვიზიას.

– რამდენად მნიშვნელოვანია ქცევის პოზიტიური მართვის მეთოდების გამოყენება ბავშვის აგრესიული ქცევის შესამცირებლად?

– კვლევები მხარს უჭერს, აგრესიული ქცევის მართვის პროცესში, პოზიტიური სისტემების გამოყენებას, რაც გულისხმობს ქცევის ფუნქციაზე დაფუძნებული ჩარევების განხორციელებას. ამგვარი ჩარევის დროს, პირველ ეტაპზე, ხდება აგრესიული ქცევის ფუნქციის დადგენა (თუ რა შემანარჩუნებელი ფაქტორები მოსდევს ქცევას შედეგის სახით), შემდეგ კი ხორციელდება ბავშვისთვის იმავე ფუნქციის მქონე, სოციალურად უფრო მისაღები, ქცევის სწავლება.

პარალელურად კი, მიმდინარეობს ამა თუ იმ ფორმით გამოვლენილი აგრესიული ქცევის ჩაქრობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვი აგრესიული ქცევით ვერ აღწევს სასურველ შედეგს. თუმცა, იმავე შედეგებს აღწევს მხოლოდ სოციალურად მისაღები, ანუ ჩამანაცვლებელი ქცევის გამოვლენის შემდეგ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩამანაცვლებელი ქცევის გამოსავლენად ბავშვს რაც უფრო ნაკლები ძალისხმევა დასჭირდება, უფრო სწრაფი და მარტივი იქნება დასწავლის პროცესი. თუ ჩამანაცვლებელი ქცევა ბავშვისთვის რთული განსახორციელებელია, ბუნებრივია, რომ ის ისევ ძველ სტრატეგიას მიანიჭებს უპირატესობას და აგრესიული ქცევა აღარ ჩაქრება.

ჩამანაცვლებელი ქცევის დასასწავლად გამოიყენება სხვდასხვა ტექნიკა: მოდელირება, რაც გულისხმობს განსახორციელებელი ქცევის დემონსტრირებას; ფიზიკური დახმარება ქცევის განხორციელების დროს; სიტყვიერი მითითება ქცევის გამოსავლენად და სხვ.

მნიშვნელოვანია, სწორად იქნეს შერჩეული განმამტკიცებლები. ბავშვის მიერ სასურველი ქცევის, თუნდაც, მიახლოებული ფორმის გამოვლენის შემდეგ, დაუყონებლივ უნდა მივაწოდოთ მას განმამტკიცებელი. ჩარევის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ასევე, გარემოს მართვას. უკიდურესად მწვავე აგრესიული ხასიათის მქონე ქცევის დროს, რაც სხვებისთვის ან თავად ქცევის განმახორციელებელი პირისთვის არის საზიანო, მნიშვნელოვანია გარემოში იმ ნივთების მოშორება, რასაც ბავშვის აგრესიული მოქმედების პროვოცირება შეუძლია. ამგვარად, აგრესიული ქცევის არიდება შესაძლებელია, თუმცა, პარალელურად, ქცევის ფუნქციაზე დაფუძნებული ჩარევების განხორციელება უნდა გაგრძელდეს.

– რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვის აგრესიული ქცევის მართვაში ოჯახის წევრების, აღმზრდელების თუ პედაგოგების ჩართულობა?

– აგრესიული ქცევის მართვისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ჩარევა მიმდინარეობდეს არა მხოლოდ კლინიკის გარემოში, არამედ ბუნებრივ გარემოშიც, იქ, სადაც ქცევა რეალურად ვლინდება, ეს არის სკოლა და სახლი. ქცევის მართვა გულისხმობს, რომ ქცევის გამოვლენაზე ნებისმიერ გარემოში ერთნაირი რეაგირება მოვახდინოთ. მაგალითად, თუ კლინიკაში ხდება ქცევის ჩაქრობა, სკოლაში კი პირიქით – განმტკიცება, ცხადია, შედეგს ვერ მივიღებთ. ამასთან, ბუნებრივ გარემოში ჩარევის განხორციელებით, ხელს ვუწყობთ დასწავლილი უნარების განზოგადებას, რის შედეგადაც ბავშვი სწავლობს, რომ მისი გარემომცველი სამყარო თანმიმდევრულია და ყველას ერთნაირი მოლოდინი აქვს მის მიმართ. ბავშვის აგრესიულმა ქცევამ ყველა სიტუაციაში უნდა დაკარგოს თავისი ფუნქცია, სანაცვლოდ კი მის ირგვლივ არსებულმა გარემომ მხარი უნდა დაუჭიროს მის პოზიტიურ ქცევას. ბევრი კვლევა აღწერს, თუ რამდენად ეფექტურია თერაპიული ჩარევა მშობლებისა და პედაგოგების ჩართულობის შემთხვევაში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ სუპერვიზიას, ასევე, ემოციურ მხარდაჭერას და ჩარევის პროცესის მეთვალყურეობას.

– რა რჩევებს მისცემდით მშობლებს, რა გაითვალისწინონ ბავშვის აგრესიული ქცევის მართვის დროს?

– თუ ბავშვი აგრესიული ქცევის ამა თუ იმ ფორმას ავლენს, პირველ რიგში, დაფიქრდით, რის მიღწევას ცდილობს ასეთი ქცევით? რა „მესიჯს“ აგზავნის თქვენთან? როგორია თქვენი რეაქცია ამ ქცევების გამოვლენის შემდეგ? რა უძღვის წინ ამ ტიპის ქცევას? როდის და ვისთან ვლინდება ეს ქცევა? – ამ კითხვებზე პასუხი დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რა ახდენს არასასურველი ქცევის შენარჩუნებას და შეძლებთ, შესაბამისად განახორციელოთ რეაგირება.

ასევე, გახსოვდეთ, რაც უფრო ადრე დაიწყებთ ჩარევას, შედეგი უფრო ეფექტური იქნება. თუ თქვენი ძალებით ვერ ახერხებთ ქცევის მართვას, აუცილებლად მიმართეთ ქცევის მართვის სპეციალისტს, რომელიც დაგეხმარებათ ქცევის ფუნქციის განსაზღვრაში და შესაბამისი ჩარევის პროგრამის განხორციელებაში.

ქცევის გამოყენებითი ანალიზის მთავარი ფილოსოფია შემდეგში მდგომარეობს: თუ ქცევას სასურველი შედეგი მოჰყვება, ის მომავალშიც აუცილებლად გამოვლინდება. ამ ფაქტის გათვალისწინებით და ჩარევის სწორი ტექნიკის არჩევით, ნებისმიერი სასურველი ქცევის ფორმირებაა შესაძლებელი.

ანა ბარძაია

ჯეიმს მედისონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა მაგისტრი, ქცევის ანალიზის მიმართულებით; ამერიკის ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ქცევის ანალიტიკოსი

geopsychology.org

სპორტი

სასკოლო ოლიმპიადა: დახურვაც და გახსნაც

„სასკოლო ოლიმპიადა-2017“ დასრულდა და 2018 წლის სეზონიც ოფიციალურად გაიხსნა. მიმდინარე სეზონის ბოლო შეჯიბრება, რომელიც ამ ოლიმპიადის ეგიდით ჩატარდა, ფუტსალის ფინალური მატჩი იყო, რომელშიც ერთმანეთს თბილისური გუნდები – 149-ე და მე-2 საჯარო სკოლების გუნდები შეხვდნენ. ფინალი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და 149-ეს გუნდმა მინიმალური სხვაობით, 2:1 გაიმარჯვა. მანვე მოიპოვა გაისად მსოფლიოს სასკოლო ჩემპიონატში გამოსვლის უფლება.

ფინალური პაექრობა 28 ნოემბერს ახალ თბილისში მდებარე ოლიმპიურ პარკში, ფრენბურთის სასახლის მთავარ დარბაზში, ჩატარდა ჩინმაღალი სტუმრების თანდასწრებით: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ჯერ კიდევ მოქმედი მინისტრი **ტარიელ ხეჩიკაშვილი**, თბილისის ახალარჩეული მერი **კახი კალაძე**, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან კობიაშვილი**, ვითიბი ბანკის გენერალური დირექტორი **არჩილ კონცელიძე** და სხვები... ფინალის მონაწილე გუნდებიც მათ დააჯილდოეს.

შეგახსენებთ, რომ სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და კომპლექსური სპორტული ღონისძიებაა საქართველოს სკოლებს შორის, რომელმაც სტარტი 2015 წელს აიღო. მისი ორგანიზატორი საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციაა, ხოლო გენერალური სპონსორი ვითიბი ბანკია. თანაორგანიზატორები ასევე არიან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თუმცა შეჯიბრებების ჩატარებაში დიდი წვლილი შეაქვთ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და ოლიმპიადის პროგრამაში შეტანილი სპორტის ცალკეული სახეობების ეროვნულ ფედერაციებს. ეს უკანასკნელი მათ ეხმარება მსაჯებით, ტექნიკური აღჭურვილობით, ინვენტარით, მატერიალური რესურსებით და სხვა... სასკოლო ოლიმპიადამ იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმცა მონაწილეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, წლეულს კი მასში 1700 სკოლის 100 000-მდე მოსწავლე გამოდიოდა. ოლიმპიადა რამდენიმე ეტაპად ტარდება: რაიონული, რეგიონული, ზონალური და ფინალური. რეგიონულ თამაშებში რაიონების გამარჯვებული გუნდები გამოდიან, ამ ეტაპის დასრულების შემდეგ კი რეგიონების საუკეთესო სკოლები, შესაბამისად, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზონალურ პირველობებში მონაწილეობენ, ხოლო მათი გამარჯვებულები ფინალურ ტურნირში ხვდებიან ერთმანეთს ქვეყნის ჩემპიონი სკოლის გუნდის გამოსავლენად. ფინალურ ეტაპს თავდაპირველად ანაკლიის საზაფხულო ბანაკი მასპინძლობდა, თუმცა ფინალურ ეტაპზე გადასული ნამუშევრების განხილვა-შეფასება, რასაც სეოკ-ის ხელმძღვანელთაგან შემდგარი ჟიური აკეთებდა: ვიცე-პრეზიდენტი, ლეგენდარული სპორტსმენი, ტყვიის სროლაში ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის სამგზის გამარჯვებული და 8 ოლიმპიადის მონაწილე (ამ მხრივ ის მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა და აბსოლუტურ რეკორდზეც – 10 ოლიმპიადაზე შეუძლია წასვლა) **ნინო სალუქვაძე**, პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი** და გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი**. მათი გადაწყვეტილებით, სპორტულ-შემეცნებითი ოლიმპიადის გამარჯვებული თელავის მე-5 საჯარო სკოლა გახდა.

ოლიმპიადის პროგრამაში შედის ფუტსალი, მინი-ფეხბურთი, ბადმინტონი, მაგიდის ჩოგბურთი, გეზრბენი, 3X3 კალათბურთი, ფრენბურთი და ხელბურთი. გამარჯვებული გუნდები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მსოფლიოს სასკოლო ჩემპიონატებში მონაწილეობენ. 149-ე სკოლის გარდა, წლეულს ამ უფლებით თბილისის კიდევ რამდენიმე სკოლა ისარგებლებს. მაგალითად, ბადმინტონში 98-ე, მაგიდის ჩოგბურთში – 90-ე, ხოლო გეზრბენში 120-ე საჯარო სკოლების გუნდები გამოვლენ.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტული შეჯიბრებების გარდა, კიდევ ერთ ასპექტს მოიცავს – სპორტულ-შემეცნებით ნაწილს, რომელსაც, ძირითადად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი კურირებს. სწორედ მის ოფისში გაიმართა

იოსელიანის თასი საგარეჯოს

გიორგობას, 23 ნოემბერს გურჯაანში, ნანა იოსელიანისა და გია გიორგაძის სახელობის საჭადრაკო კლუბის ახალგახსნილ დარბაზში საინტერესო ტურნირი გაიმართა: ნანა იოსელიანის თასის გათამაშება 12 წლამდე ასაკის გოგონებსა და ვაჟებში. მასში კახეთის რეგიონის გუნდები მონაწილეობდნენ, ყოველ მათგანში კი 6 მოჭადრაკე იყო: 4 ვაჟი და 2 გოგო.

ჩემპიონობისთვის ბრძოლა საკმაოდ დრამატული გამოდგა. თავიდანვე გამოიკვეთა სამი ფავორიტი: გურჯაანი, თელავი და საგარეჯო, თუმცა საგარეჯოელებმა მაინც განსაკუთრებით კარგი სტარტი აიღეს და ყველა შეხვედრას დიდი ანგარიშით იგებდნენ. საჩემპიონო მარათონს პირველი თელავი გამოაკლდა, რომელმაც ჯერ, მოულოდნელად, ფრედ, 3:3 ითამაშა ლაგოდეხთან, მერე კი სასიცოცხლო მნიშვნელობის შეხვედრაც ასევე 3:3 დაასრულა საგარეჯოსთან. თასისთვის ბრძოლას შემორჩენილი ორი ფავორიტიდან ურთიერთშეხვედრამდე უფრო კარგი სასტარტო მდგომარეობით მასპინძელი გურჯაანელები მივიდნენ, რომლებსაც ფრეც აწყობდათ გარეკახელებთან, მაგრამ საგარეჯოელებმა არც მათ დაუტოვეს შანსი და 5:1 მოუგეს, რითაც ნანა იოსელიანის თასსაც დაეუფლნენ. ამ წარმატებას **ზურაბ გამრეკელაშვილმა, იოანე ინაშვილმა, ლუკა ტიგინაშვილმა, საბა დუჩიძემ, ნინო ესაიაშვილმა** და **მარიამ აგულაშვილმა** მიაღწიეს (მწვრთნელები: **ირაკლი ქვლივიძე, ნანი უნაფქოშვილი, ელენე ფარეშიშვილი**).

თელავი საბოლოოდ მეორეზე გავიდა (მწვრთნელი: **თამარ ხმიადაშვილი**), მესამეზე კი გურჯაანი დარჩა (**გია ქიტესაშვილი**). მედალოსნებმა თასებსა და დიპლომებთან ერთად, საჩუქრად მობილური ტელეფონებიც მიიღეს, მწვრთნელებს კი ნოუთბუქები გადაეცათ.

აბჟანდაძე დიდ გზაზე

ჩვენი გაზეთი პერიოდულად გაცნობთ ახალგაზრდა ქართველ სპორტსმენებს, რომლებიც წარმატებით მიიკვლევენ გზას წამყვან უცხოურ კლუბებში და თანდათან ყალიბდებიან ეროვნული გუნდების ლიდერებად, რაც, საბოლოო ჯამში, ქართული სპორტის წარმატებას განაპირობებს. დღეს სიამოვნებით წარმოგიდგენთ კიდევ ერთ ასეთ ახალგაზრდას – 18 წლის მორაგბე **თედო აბჟანდაძეს**, ვინც მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან სარაგბო ქვეყანაში – ირლანდიაშია მიწვეული „ტერენორ კოლეჯში“. ქუთაისელი აბჟანდაძე საქართველოს 18 და 20-წლამდელთა ნაკრებების მგზავია, სექტემბერში თბილისში გამართული მსოფლიოს რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატშიც მონაწილეობდა და ყველა შეხვედრაში ითამაშა. ცხადია, მათ შორის ირლანდიასა და არგენტინასთანაც და დიდი წვლილიც დაიდო სამხრეთამერიკელ „პუმებთან“ მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებაში. ევროპელმა „სამყურებმაც“ მაშინ შეამჩნიეს მისი ტალანტი და კოლეჯში მიიწვიეს. აბჟანდაძემ უკვე ჩაატარა სადებიუტო შეხვედრა ირლანდიის 20-წლამდელთა ჩემპიონატში, თავიდან ბოლომდე შეუცვლელადაც ითამაშა და თან გუნდს 8 ქულით შეეწია. კლუბის ოფიციალური საიტი დადებითად გამოეხმაურა მის თამაშს და დაწერა, რომ ქართველი მგეზავი სეზონის ბოლომდე მათთან დარჩება.

იტალიაში ქართულად ჭიდაობს

19 წლის გორელი ძიუდოისტი **ჯიმი ჭინჭარაული** (73) წარმატებით გამოვიდა იტალიის თასზე და პირველობა არავის დაუთმო. არადა, მეტოქეთა შორის ევროპის პრიზიორი **ერმეს ტოლოჩინიც** ჰყავდა, ვისაც ნახევარფინალში დამაჯერებლად მოუგო.

ჭინჭარაული რამდენიმე წელიწადია, იტალიაში, ქალაქ ბარიში ცხოვრობს, თუმცა საქართველოს სახელით გამოდის. ბარიში მისი პირველი მწვრთნელი **გიორგი საბიაშვილი** ცხოვრობს და ისიც მასთან გადავიდა სავარჯიშოდ. საბიაშვილი მიიჩნევს, რომ ჭინჭარაული ქართული საჭიდაო სტილით გამოირჩევა და იტალიაშიც ამის ხარჯზე მიაღწია წარმატებას, შეგირდზე კი სამომავლოდ დიდ იმედებს ამყარებს.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

სამაგიდე თამაშების მრავალფეროვანი პაკეტები I–VI კლასებისათვის

წესებიანი, სამაგიდე თამაშების მთავარი ამოცანაა: შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი, ხელი შეუწყოს მოსწავლეების სოციალური და საზოგადოებრივი უნარების განვითარებას. ამ თამაშების დროს თამაშში ჩართულ მოსწავლეებს უწევთ: ანალიზი, მსჯელობა, კატეგორიზაცია/დახარისხება, დაგეგმვა/ორგანიზება, გადაწყვეტა, შედარება, შეფასება/კრიტიკა, რეფლექსია, შექმნა, გამოგონება, აღმოჩენა, თანამშრომლობა, წარმოდგენა/ვარაუდი, წინასწარი შეფასება/წინასწარმეტყველება, წარდგენა/პრეზენტაცია, გამოყენება, გაკეთება, პრაქტიკაში გადმოტანა, განხორციელება. თამაშები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების და გამჭოლი კომპეტენციების შესაბამისად არის შექმნილი.

რომელი საათია – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
მხიარული ფრაგმენტების ლოგიკა – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
ჩრდილები – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
მოხატული ცხოველების ამბები – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
სხვადასხვა სიტუაციები – 8 ლარი
(ჯგუფური თამაში);
შეგრძნებები – 8 ლარი;
მხიარული სისარტყელა – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
მხიარული წილადები – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
დავეხმაროთ რისხვებს – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
ვითვლი: 10-მდე, 20-მდე, 100-მდე – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
გავუმასპინძლდეთ სტუმრებს – 23 ლარი
(ჯგუფური თამაში, გათვლილია მთელ კლასზე);
ფერადი მოზაიკა – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში).

სასწავლო პროექტები
წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და განერილია რეკომენდაციები, რომელ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საბანში.

ქართული I-VI კლასები
წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.

პროფესიული უნარები
დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის



მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

9 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩაბარდეს როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი
(სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია
(სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

ტირაჟი დროებით ამოწურულია

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

განახლებული გამოცემა

წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >